

კაჟა ეტჰისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკვარსანი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად

2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 74

2020



მთ. რედაქტორი

**ბიძინა ლემონჯავა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი,  
აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. შოთაბრძოლვის ხეივანი №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-881-6 (74 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრემიანტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრემიანტის,



ავსახეთის მმცნიერებათა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, სსპარტოველოს ბანათელეებისა და სსპარტოველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტბვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტბვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეგი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ათტომეული, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართული და უცხოელი პოეტების, მმცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასაგვე ავტორი) წიგნების (მონობრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს ბაიმართა ვაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სსპარტოველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინეული, ღავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღემდე...“

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეშავი მისწოლია... მათ იცინან იმ ოწყება დღემდევის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





**„გულცივად შეხვდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“**

**ა. პუშკინი**

**წინასიტყვაობის მაბიჲრ**

**(დასასრული)**

ვაჟა ვერისელის მოქალაქეობრივ პოეზიაში არა მარტო სამშობლოს რაინდთა სადიდებელი ხმა ისმის, არამედ გარდასული საუკუნეების უცხო ქვეყანათა ბრწყინვალე რაინდებისადმი მოკრძალებაც გამოსჭვივის. პოეტს მშვენიერი ლექსი აქვს მიძღვნილი იულიუს კეისრისადმი, რომელმაც უნდო ჟამიც კი ბეჭებზე დაანარცხა. მაში კეისრის სიტყვებიც ჟღერს „მივედი, ვნახე, ვსძლიე“ – „Veni, Vidi, Vici“.

პოეტს ხანაც ჟამთასვლის ლაბირინთებში ხეტიალის ამოება აფორიაქებს და აღონებს:

რადგან სიცოცხლის გაგრძელება  
არის სიკვდილი  
და დღის სინათლის –  
ღამის წყვლიადი.

ეს იმის გამო, რომ „კაცი კი არა, ღმერთიც





ბერდება“, ისევ სიკეთე, სიყვარული და სიღმააზე მოგვევლინება ნუგეშად და მსხნელად.

სიყვარული პოეტისა რაინდული და ღამაზია, სიცოცხლეც იმდაგვარია და სიკვდილს რაინდულად, ღამაზად უნდა შეხედეს, ამისათვის საჭიროა, როცა „განკითხვის უამი მოძუნძულდება“, სიკვდილს ალფრედ დევეინის მგელივით შეერკინოს.

\* \* \*

1298 წელს ინგლისის მეფე ედუარდ პირველმა შოტლანდია დაიპყრო იმისათვის, რომ შოტლანდიელებისათვის თავიანთი წარსული დაევიწყებინა. მან ბრძანა, რომ პირველ რიგში დაეწვათ ყველა ხელნაწერი, წიგნი, დაენგრიათ ბიბლიოთეკები, ისტორიას ახსოვს მრავალი ასეთი ბარბაროსული აქტი. ამგვარი აუტოდაფების მოყვარულნი იყვნენ: ჩინგის ხანი, ალა-მაჰმად-ხანი, უახლოეს წლებში კი არიან ოსი და აფხაზი ექსტრემისტები. პოეტი ჯერ კიდევ 1981 წელს წერდა:

ვის დაუვარდა, არავინ იცის  
ათასი ვინმე მოგროვდა ირგვლივ  
და უმზერს რუსი,  
ფრანგი,  
ფინელი,



თავდაღმა გდია ქუჩაში წიგნი,  
ვით ფრთაგაშლილი მკედარი ფრინველი...

თითქოს მგოსნის სული წინასწარ გრძნობს მო-  
მავალ კატაკლიზმებს. პოეტს მამულიშვილობის მძი-  
მე უღელი ადგას და მის ყოველ გასაჭირს მტკივნეუ-  
ლად განიცდის:

ეგ! საქართველოვ,  
შენი ტრფობის უღელში შებმულს,  
ო, მარად მტკიოდეს ქედი ნაუღლარი.

ვაჟა ეგრისელის წიგნი „**იქმენ ნათელი**“ უკვე  
საქართველოს ისტორიის ნაწილად იქცა. იგივე წიგ-  
ნი საქართველოს დღევანდელობაცაა და მისი მომავ-  
ლისკენ მიშუქებული სინათლაც. მისმა გამოსვლამ  
ყველა კეთილი, სამშობლოსათვის კარგის მსურველი  
ადამიანი გაახარა.

მინდა მკითხველს მათი გამოსხაურებები ამ  
წიგნზე გავაცნო.

გამოჩენილი მეცნიერი, პროფესორი აკაკი  
გაწერელია: „...ჩემს წინა ვრცელ სტატიაში  
„კოლხური ფსალმუნის გამო“, განვიხილავ-  
დი რა, ვაჟა ეგრისელის ორ წიგნს - „მოლოდი-  
ნი“ და „შეიბნ მახვილი“, ვწერდი: გრიგოლ



ორბელიანის „ფსალმუნის“ კვალს მიჰყვება ნიკოლოზ ბარათაშვილი. უახლეს ქართულ ლიტერატურაში, მე ვერ ვიგონებ მეორე მაგალითს, გარდა ვაჟა ეგრისელისა, რომელსაც „დავითის ქნარის“ აპოლოგიით დაეწყო თავის სვლა. ეს ორი წიგნი, სავსებით ამართლებს ავტორის პოეტურ დკლერაციას, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ...

ვაჟა ეგრისელის ლირიკა ემოციური და მასთან საწუთროს საკითხზე დაფიქრებული კაცის შემოქმედებაა. მაგრამ იგი არა გაჯავრებული ლირიკოსის დაღადისი. მისი განცდები არაა საწუთროზე მოზარე ადამიანის რეფლექსი, რომელიც ასე ძლიერ ვიბრირებს ჩვენი პოეზიის უნივერსალურ გენიასთან: „თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან“. და ა.შ.

...ამჟამად ჩემს ხელთაა ვაჟა ეგრისელის ათას გვერდიანი ერთტომეული, რომელშიც ორი ათასამდე ლექსია დასტამბული. ამ უზარმაზარი ლირიკული წიგნის წაკითხვამ გამახსენა ჩემი, დიდი ხნის წინათ დაწერილი ვარიაციების ფრაგმენტები ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რომელიც ზუსტად მიესადაგება ვაჟა ეგრისელს: – იგი წერს მხოლოდ აუცილებელი და სავალდებულო სიტყვებით. მის პოეტურ მონოლოგებში ნატამალიც არ მოიძებნება ლამაზი და მყვირალა ფრაზისა. არც ერთი ტაეპი პოეტის ლექ-



სისა არაა ნავარაუდები ტრიბუნიდან სათქმელად, მისი სიტყვიერი ფაქტურა შინაგანი ხილვითაა აღვსილი და მოგიწოდებთ მგოსნის არსებაში ჩასახედად. მოკლედ ვაჟა ეგრისელის ლექსი არაა განკუთვნილი აპლოდისმენტისათვის – ამ მერყევი, ეფემერული და ძალზე ღარიბი საზღაურისათვის ცხოვრებასა და მწერლობაში. ვაჟა ეგრისელის პოეზიის გაცნობა უმაღლვე არწმუნებს დაკვირვებულ მკითხველს, რომ მისი მთავარი გმირი თვითონ პოეტია...

ვაჟა ეგრისელის პოეზია ქართული სული მარადული ყივილია. მისი შემოქმედება ნაკლებად ან სრულებით ვერ პოულობს ანალოგს ეროვნულ და მსოფლიო პოეზიაში. პოეტის სრულყოფილად გაგებას და შემეცნებას გარკვეული დრო, ერუდიცია და გემოვნება სჭირდება, რომ უცდომელად მიეზღოს „კესარს კეისრისა!“

...ვაჟა ეგრისელის მეტაფორული აზროვნება მიუწვდომელი და განუსაზღვრელია. მე იშვიათად მეგულება პოეტი, რომელსაც მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სხვა ციური სხეულები, იმდენი განსხვავებული მეტაფორებით დაეხატოს, როგორც ვაჟა ეგრისელი! მარტო „ელვა“ სამასზე მეტი თვალის მომჭრელი მეტაფორითაა გამკრთალი: ხან უფლის ღიმილად, ხან უფლის ხელმოწერად, ხან უფლის ყულფად და ა.შ. პოეტი საღიქსო რიტმის დიდ ხელოვნა-



დაც გვევლინება, მისი ლექსების სტრუქტურული ელემენტები გამოგონილი კი არ არის, არამედ ძველი და მივიწყებულია, მაგრამ შემოქმედის მიერ დიდი ხნის მერე გაცოცხლებული. ესაა ნოვატორობა! ადრე დაწერილს, ეხლა ვიმეორებ, რომ არც ერთი რიტმული სქემა პუშკინისა ახალი არაა, არც რიტმის უდიდეს ჯადოქარს **ბეთჰოვენს** გამოგონილი სიმეტრიებისათვის არ მიუმართავს. არც ვაჟა ვერისელი ცდილა რაიმე ახლის გამოგონებასმ პირიქით, მან ტრადიციებზე დააშენა თავისი დიდი, ორიგინალური პოეზია.

ვაჟა ვერისელის სტილი ღრმადაა დაკავშირებული ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პლასტებთან, კერძოდ ბიბლიის (ძველი და ახალი აღქმის) წიგნებთან. ამაში პოეტის სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულების სახელწოდებებიც დაგვარწმუნებს: „სიცოცხლე“, „ამადღება“, „ნათელხილვა“, „საგალობელი“, „იქმენ ნათელი“ და სხვა. დავითის „ფსალმუნი“ და „ბიბლია“ მარტო საკულტო ძეგლები როდია, ისიი ამავე დროს უდიდესი მხატვრული ძეგლებიცაა.

... ვაჟა ვერისელის პოეზიაში შემავალი სტილური ინგრედიენტები, როგორც ბარათაშვილისა, აქამდე უცნობი სამყაროს მოდელის შესაქმნელადაა გამოყენებული პოეტის მიერ, ამის შესახებ ბევრი თქმულა და



დაწერილა. რაც მგოსნის უსამანო ინტელექტუალურ მასშტაბებზე მიგვანიშნებს და ნებას მაძლევს ვთქვა, რომ ვაჟა ეგრისელის პოეზია XXI საუუნუს რიჟრაჟზე ამომავალი ნათელია, რომელსაც ჩაქრობა არ უწერია.

გამოჩენილი ქართველი მწერალი რევაზ ჯაფარიძე ვაჟა ეგრისელის პოეზიას „ხელშესახები განცდის პოეზიას“ უწოდებს და ვრცელ წერილს უძღვნის მას. „ვაჟა ეგრისელის პოეტური სტრიქონი ვერ ეგუება უცხო სხეულს, ერთხელ უკვე ნათქვამის განმეორებას, საიდანაც მოტანილ რემინისცენციებს. ის თავისთავადია და არც თავის მხრივ შეიძლება იქცეს სხვა პოეტის ლექსის შემადგენელ ნაწილად, რადგანაც მას თავისი შემქმნელის განუმეორებელი ბეჭედი ახის. პოეტის ნაფიქრ-ნააზრის და ნაძერწის კომპაქტურობას ხელს უწყობს ლექსის მცირე ფორმა, მცირე ფორმაში მოქცეული იმპრესიონისტული ხედვა მოვლენებისა, რომლებიც სხვა პოეტის მიერ მოვლენის ადქმაში არასოდეს აგერევა. იგი თითქოს ზარის ერთი ჩამოკვრაა, ერთი აჟღერება, რომლის გარეშემოც ბგერების უსასრულო წრეები გროვდებიან. ....ყოველი ახალი ლექსით, – წერს ბატონი რევაზი, – რაღაც ახლის აღმოჩენას გვთავაზობს პოეტი. ამით თავისი შემოქმედებითი სულის ახალ წახნავს ამზეურებს... პოეტის გზა აღმართებს მისდევს... შორს, ნისლში



ჩანს მწვერვალი... ვუსურვებდი, დიდხანს და მუხლ-მაგრად ევლოს ვაჟა ეგრისელს ამ გზაზე, მრავალი ღრმა ნაფეხური დაეტოვებინოს და ისტორიის ნამქერს ვერასოდეს წაეშალოს ეს ნაფეხურები.“

სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი შალვა გულორდავა აღნიშნავს, რომ ვაჟა ეგრისელის ლექსებიდან „მზესავით შემოგვანათებს დიდი წინაპრების ხსოვნა და არდავიწყება, ქართველი ერის თავისუფლების იდეა. ბართაშვილის, ილიას, აკაკის და ვაჟა-ფშაველას მსგავსად, კალმის ერთი მოსმით თვალებს უხელს და აცოცხლებს ქართველი კაცის გმირულს ქართულს, მის შემართებას და უძლეველობას... ვაჟა ეგრისელის მოცულობით პატარა ლექსები საქართველოს დიდი ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ამადლებული, მიმოიღველი და მხატვრული ფერებით გადმოცემული, რომლებსაც ორიოდე სტრიქონით შეუძლიათ თვალწინ გადაგვიშალონ ათასწლეულთა ღელვანი.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უახლეს ქართულ პოეზიაში ვაჟა ეგრისელს უეჭველად თვალსაჩინო ადილი აქვს დამკვიდრებული. გვჯერა, ამ კატეგორიულ განაცხადს და დაადასტურებს.“

მწერალი მიხეილ ჩაჩუა აღტაცებაში მოჰყავს „იქმენ ნათელის“ გამოსვლას:



„დავიმასხოვროთ 1993!

საქართველოს ისტორიაში ამ ერთ-ერთ ავბედიან წელს – სისხლის წვიმებისა და ტოტალური უზუნობის ჟამს – ღირსშესანიშნავი კულტურული მოვლენის მოწმენი გავხდით: დაისტამბა ვაჟა ეგრისელის ლექსების უზარმაზარი ერთტომეული...

ვაჟა ეგრისელი თავის ერთ-ერთ ლექსში წერდა: „მოვა პოეტი ნიჭის რაშზე ამხედრებული და ათასწლეულს გადიჯირითებს“.

და აი, მოვიდა პოეტი იგი.

„იქმენ ნათელი“ ჰქვია ამ უთვალავი ლექსი – მარგალიტის დამტვევ წიგნს, ხოლო „პოეტი იგი“ თავად ვაჟა ეგრისელი გახლავთ – „ნიჭის რაშზე ამხედრებული ათასწლეულს რომ გადიჯირითებს“.

მწერალი ვალერიან მოსაშვილი ვაჟა ეგრისელის ლექსების წიგნს „იქმენ ნათელს“ – „ბიბლიური ლექსების წიგნს“ უწოდებს და წერს;

„ვისაც სტრიქონებთან ჭიდილი განუცდია, დამერწმუნება იმაში, რომ მცირე ფორმის ლექსებში ასეთი დიდი ფილოსოფიური აზრის, მეტაფორებისა და მხატვრული სახეების თვალმარგალიტებში ჩასმა უძლიერესი ნებისყოფისა და ზეგარდმო ნიჭის პატრონს თუ შეუძლია მხოლოდ... ვაჟა ეგრისელის ლექს“





სზე შეიძლება თვეობით იფიქრო და სქელტანიანი წიგნები დაწერო. მისი ლექსების ჩვეულებრივი წაკითხვა არ შეიძლება, მას „ბიბლიის“ მსგავსად ღრმად წვდომა ესაჭიროება, რომ შეიგრძნო პოეტის სიბრძნე, სიტკბო და სითბო. ასეთი ყოველი დიდი პოეზია ხალხს ეკუთვნის და ვაჟა ეგრისელი განუმეორებელი ხმის, ჭეშმარიტად დიდი და სახალხო პოეტია“.

„ვაჟა ეგრისელის პოეზია, პოეზიის პოეზიაა, – წერს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ღამარა ჩიჯავაძე „იქმენ ნათელისადმი“ მიძღვნილ წერილში, „საიდანაც მოემართება პოეტი ასე ვაჟაკურად და გვევლინება ქართული ლექსის განმაახლებლად – მარადისობის ფსკერის ღიმილით, რომელსაც დიდი და საინტერესო მომავალი აქვს...“

სამამულო ომის მონაწილე, ლტოლვილი ექიმი აფხაზეთიდან ქალბატონი ლული ზაქარია წერს:

„ვაჟა ეგრისელი, როგორც მისი დიდი წინაპარი ვაჟა-ფშაველა, ღრმად სწვდება ბუნების საოცრებებისა და საიდუმლოებების ფესვებს:

მეძახის შენი ცა და სინათლე,

რა საამური, რა საამო უამი მოვიდა, –  
მტვერვის ხმა მესმის საკუთარი სულის და ძვალის.



მე ამოვდივარ მიწიდან და სიმყუდროვიდან,  
მე ამოვდივარ...

ამოვდივარ ბალახის ძალით.

ასე წერს პოეტი და არ შეიძლება ეჭვი შეგეპაროს ამ სტრიქონების ჭეშმარიტებაში, რადგანაც ვაჟა ვერისელის ლექსები ერთი დიდი საგალობელია არა მარტო ბუნების, არამედ სამყაროს ყველა სხეულის (ცის, მიწის, მთვარის ვარსკვლავების, თვით სივრცის, სინათლის დროისა და უსასრულობის...).

ესაა მშობლიური მიწისაგან ბალახის ძალით ამოსული, ბალახივით ყოვლისმომცველი პოეზია.“

სიამოვნებით გვინდა მოვიტანოთ ცნობილი ექიმი – კარდიოლოგის ქალბატონ ნანი ბურჯანაძის პოეტური წერილი:

„...სიხარულით შევადე „ციცქნა ლექსების“ თვალმარგალიტით მოჭედილი ჭიშკარი და მოკრძალებით შევედი „სიყვარულით შემოდობილ“ და „ვარსკვლავების კრამიტით“ გადახურულ პოეტის „კარ-მიდამოში“, რომელიც უსასრულოა დროში... სივრცეში... და მოიცავს სიკეთის, სინათლის, რწმენის და იმედებით განათებულ მთელ სამყაროს, რომლის მაღალი სამრეკლოს ზარი რეკავს: „იქმენ ნათელი“.

... – ცის ტაძარში მგალობელ ღურჯ ფერს,



– ქარიშხლის ტოტზე მიბმულ ზღვას,  
– მამლის ყივილით გაბზარულ ღამის კედელს,  
– ნუშის მკლავზე აცრილ კვირტებს,  
– დღე დათვლილ ყოფნას და მარადიულ არ-  
ყოფნას,  
– ბუხრიდან ამოფრენილ ცეცხლის დეზებიან,  
თმაქოჩორა კვამლს,  
– ყაყჩოების ქარავანივით წამოწოლილ ქარ-  
თლის მთებს,  
ცას,  
მიწას,  
მზეს და ვარსკვლავებს...  
ყველას და ყოველს –  
პოეტმა (ვაჟა ეგრისელმა) თავისი ღვთაებრივი  
სული შთაბერა...  
„და იქმნა ნათელი!“

ამინ!...

ინჟინერ – გამომგონებელი კობა კოჭლამა-  
ზაშვილი წერს: „ვაჟა ეგრისელი – „გრძელი სიტყ-  
ვის მოკლედ თქმის“ სწორუპოვარი კირითხუროა.  
პოეტი ქართული სიტყვის ზარდახში აწყობს და აწ-  
ყობს ფიქრებს და აზრებს მარგალიტებად.

ტიციან ტაბიძის სიტყვებით რომ ვტკვით,  
ერთ პოეტს მარტო მისი წიგნების სათაურებიც ეყო-  
ლოდა გამოსარჩლებად: „სიცოცხლე“, „ამაღ-



ლებსა“, „ნათელხილვა“, „საგალობელი“, „ჰორიზონტები“, „უნაპირობა“, „აისბერგები“, „იქმენ ნათელი“ და სხვ.

ეს სათაურებიც ხომ პოეზიაა „ვერისელისეული“...

სხვების შესახებ მონოგრაფიის დასაწყისში ვილაპარაკე. მათი წერილები, რეცენზიები მოტანილი აქვს ბატონ კოტე მელაშვილს თავის წიგნში „ვაჟა ვერისელი“. ისინი ძალიან ბევრია და ჩინებულად გამოხატავენ ქართველ მეცნიერთა, მწერალთა და მკითხველთა ფართო წრეების აზრს. ამ გამოსმაურებებს მინდა დავურთო ღექსებიც, რომლებიც ქართველ პოეტებს ეკუთვნის:

მორის ფოცხიშვილი

**ვიცი შაბაღებ ენგურში ულაცს**

*ვაჟა ვერისელს*

კაცური კაცის ქუდი რომ გხურავს,  
ვიცი, ასაკი ვერასდროს გძღვეს, -  
ღმერთი გიცოცხლებს დაჩის და ზურაბს,  
კოლხური გზნებით შეპყრობილ ყრმებს.  
ვიცი, შეაგდებ ენგურში ულაცს,



დედა – სამშობლოს ტკივილი გრევეს,  
ძმას ხელს გაუწვდი ყოველთვის ძმურად,  
სანთელ – საკმევლად მიუხვალ მრევლს.  
ვით ფუტკარს,  
კვლავ არ გექნება მოცლა,  
დრო ქართველ მხედარს გრიგალში ახვევს.  
გიწონებ ლექსს და  
პოეტად გლოცავ,  
მჯერა, სიხარულს მოუტან ბევრს.  
შენი გზით ვლიდე,  
შენს სათქმელს ენდე,  
თუმც ბეწვის ხიდზე გიხდება სვლა, –  
საქართველოსთვის –  
ცოცხლობდი დღემდე,  
საქართველოსთვის ცოცხლობდე კვლავ!

აკაკი გელოვანი

### **ბანძი ბანუსხვისეგელი**

ვაჟა ვერისელს  
ბედნიერია ნაღდი პოეტი,  
ციური ნიჭით მომადლებული  
და თუა ნაღდი ადამიანიც  
მხიბლავს, ორმაგად გულანთებული.  
ჭეშმარიტება არ არის მეტი? –  
ხალხის მეტყველი, კაცური განძი,



და მეც გიწამე ერის ერთგული,  
ბრძენთა ენაზე მეტყველი კაცი.

გივი ნიქარაძე

### **ვაჟა ებრისელს**

ხსნის მოლოდინში სული იღევა,  
უკანასკნელო ჩემო იმედო!

მზე ჩაინაცრა,

დაცხრა „ლილეო“,

ბედმა გამწირა – ვისღა მივენდო?!

ისემც შენ ჩემი თავი მოგიკვდეს,

მე,

შენ,

არასდროს გაგითამამდე.

ჩემი ოცნების ხელის მომკიდევ –

ჩემს აღსასრულზეც შენ ითამადე...

ჯიბო ჯიმერი

### **ბზა ებრისული**

*ვაჟა ებრისელს*

უკვდავების წყლით ფიალას,

თუ ვინმე ივსებს, შენ ივსებ,

ქართული სიტყვის ტრფიალად –

ცა გნიშნავს –

ვაჟა ებრისელს.



... ეურჩე ბედის არადანს.  
ვით არსაკიძე შეგრისხეს.  
ღღეს რაა!

ღღეს კი არადა,  
ბევრს გააოცებ მერმისელს.  
„...იქმენ ნათელით“ ლამპარობ...  
სხვა ვინ ამადლებს ეგრე სულს?!  
ნათლება სულ სხვა სამყარო,  
მიჰყევ დიად გზას –  
ეგრისულს!...

ავთანდილ მეგრელი შვილი

### **ქართული ცა უღვას თვალეზში**

*ვაჟა ეგრისელს*

დადის პოეტი დედამიწაზე,  
თესავს სიკეთეს...

და სიცოცხლის მაღლი იტაცებს.  
სიყვარულია და მისი საგზალი,  
ლექის მტრედებით ამ სიყვარულს  
ყველგან აგზავნის.

ტიციანივით საქართველოს ადგას უღელი,  
გაჩენის დღიდან ეფერება და მას უმღერის...  
არც ერთი პწკარი დასცდენია გულის გარეშე,  
დადის პოეტი...

ქართული ცა უღვას თვალეზში.



ზ ა უ რ ბ ო ლ ქ ე ა ძ ე

**„ნიანგის“ საღალღობო მილოცვა  
50 (ერგასი) წლის ვაჟა ეგრისელს**

ჭეშმარიტ პოეტს, პატრიოტს, ერისკაცს – ვაჟა ეგრისელს  
წელს შეუსრულდა ერგასი, ერისთვის ბორგავს თერგისებრ  
და მიჰქრის მისი პეგასი ახალი ლაჟვარდებისკენ!..  
კაცია ამაღლებული, ვერვისგან მოხრილ – დახრილი,  
ხმალივით ამოღებული აქვს წიგნი – „შეიბ მახვილი!“  
არის ოსტატიც სარკაზმის, გროტესკისა და სატირის!..  
ბორგავს და იბრძვის თერგისებრ! – მისი დევიზი არს ბრძოლა!  
პარნასელ უკვდავებისძემ – თქვა დიდმა მუხრან ბატონმა:  
„ელირსებო ეგრისელს ვაჟას პარნასზე შადგომაც!“

ამონ!

**შალვა მჟავლიშვილი**

*(წიგნიდან – ტრადიციულისა და ნოვატორულის  
გავებისათვის ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში)*





\* \* \*

მზეს უნდა გავყვე დასავლეთისკენ,  
იქ ზღვა მიმელის,  
ჩემო სამხრეთო,  
რადგან მოსვლიდან  
უამრავი მადევს ზღვის ვალი.  
და როგორც წინათ,  
სიყვარულით  
მინდა ჩავხედო  
ჩემზე ფიქრებით ჩალურჯებულ  
ზღვის დიდრონ თვალებს.

1962

## ილორი

მწუსრში ზრიალით განიხვნება  
ცათა კარები,  
ლოცვების ბურუსს  
მიმოფანტავს  
ზესთა კრებული.  
დარეკავს წამი –  
უხილავის  
მოსახილველი,  
განმიცხადდება მგოსანს არსი  
ზეარსებულის  
და ფრთე ნათლისა გადამივლის  
სახით –  
ფრინველის

1967

\* \* \*

ზღვას ქარიშხალი სველი ხელით  
სუნთქვას უკრავდა,  
ღელვის ნაპირზე –  
მაშველივით იდგა ყაყანი,  
იდგა შიში და  
შორეული  
ცივი ზმანება.  
და მე მინდოდა ზღვის  
ბაეშვივით  
ხელში აყვანა,  
მაგრამ გრივალმა,  
არ იქნა და, –  
არ დამანება.

1958

## უკვდავსაყოფად

უტყვი მოწმენი გმირთა დიდების –  
დგანან მუხები,  
დგანან შინდები.

მარტო დიდგორი...

მარტო მარტყოფი  
და სიმამაცე იმუამინდელი –  
ეყოფა ქართველს  
უკვდავსაყოფად.

1981



\* \* \*

ისევ შენა ხარ ჩემი მსაჯული,  
რადგანაც შენი  
სიყვარულის  
ოქროს პალოზე –  
ვარ მიჯაჭვული.

და იობივით კიდევ დიდხანს  
ავიტან ტანჯვას,  
ო, არა უშავს,  
თუმცა?..  
მოთმინების ჯაჭვს ლოკავს  
უამი,  
ვითარცა ყურშა.

1981



## სარკოფაგები

მიწა დევია –  
ჰაუ, რამდენი  
ჩაუყლაპავს ჩვენი თვისტომი;  
ჩვენ მუცელს ვუჭრით და ამოგვყავს  
სიმღერა გედის,  
რომელიც მღვრიე  
წარსულიდან  
მარადუამს გვესმის.  
და... ჩონჩხადქცეულ სიცოცხლის  
გვერდით,  
ოქრო და ვერცხლი...  
შური...  
მტრობა...  
ღალატი...  
გესლი –  
ასვენია სარკოფაგებში.

1969

## ბუხარი

სივრცეებს თოვლის სევდა ანათებს,  
მიწის გადაღმა –  
ჰელიოსის სული ინთება –  
ჩამქრალ მნათობთა მტვრით და ბულულით.  
ბუხარი ღვას და ცეცხლის –  
თითებით  
ივარცხნის კვამლის ლამაზ კულულებს.

1960



\* \* \*

ტოტებზე ისხდნენ  
მოწყენილი  
მზე და ჩიტები  
და ოქროსფერი თვლენა ეკვროდა  
ოქროში მცურავ –  
ლამაზ არეებს.  
და შემოდგომა,  
გუმბათოვან  
ტყის  
სამრეკლოდან  
რეკდა სიყვითლით  
დაავადებულ  
ფოთლების ზარებს.

1965





\* \* \*

მეძახის შენი ცა და  
სინათლე,  
რა სანატრელი,  
რა საამო უამი  
მოვიდა,  
მტვრევის ხმა მესმის საკუთარი  
სულის და ძვალის,  
და ამოვდივარ მიწიდან და  
სიმყუდროვიდან...  
მე ამოვდივარ...  
ამოვდივარ –  
ბაღასის ძალით.

1968



## პატარა ბავშვი

ზღვას გასცქეროდა პატარა ბავშვი  
და თოლიებთან დაფრინავდა –

უმანკო სული

ხოლო შორს,

სადღაც,

მთათა მიღმა დგარი ღრუბლები,

ეჩვენებოდა ხან დევებად

და ხან ვერძებად,

ან ფაფარაშლილ, ყალყზე შემდგარ

ურა ცხენებად.

და ვერ ამჩნევდა,

ქარის ტოტზე შემსხდარი ტალღა,

რომ მოდიოდა –

მისი სულის მოსასვენებლად.

1966



\* \* \*

ჩორთით,

ოთხით,

თოხარიკით, –

ზღვას,

სანაპიროს ცხელ ქვიშაზე

დააჭენებენ.

მაგრამ ვერაფრით, მაგრამ ვერაგზით,

ვერ ათვნიერებენ გრიგალები.



## რწმენა

ვით უბადრუკი ჟამთა დინება,  
წარმავალია  
ქვეყნად ყოველი  
და დრო არ გვრჩება  
საკუთარი  
ბედის გლოვისთვის,  
მაგრამ...  
მე მტკვრისპირ ვიდგები  
ვით სვეტიცხოველი,  
ქართულ მიწიდან  
ფეხს არ მოვიცვლი.

1965



## ჭიამაია

ცას ისევ ღიად დარჩენოდა  
მთვარის სარკმელი, –  
სჩანდა ღრუბლების მოქათქათე  
ქრიზანთემები,  
ვით დედა-მიწის დიდი ოცნება.  
და... ვითარცა მზე,  
მილიონჯერ  
შემცირებული,  
სიმაღლის ტოტზე, –  
აღმოსავლეთით,  
გულანთებული მიცოცავდა  
ჭიამაია.

1971



\* \* \*

მოუხუცი მთები,  
მდინარეებს  
ორღესულივით  
პირქუშ ლოდებზე  
ზამთარ-ზაფხულ  
ჩუმაღ ღესავენ  
და საღ კლდეებში მოდარაჯე უამს  
ულერებენ...  
ღღეები როგორც ჩალისღერები  
მზეს შრიაღებენ...  
ცა კეკღუცობს  
პირიმზესავით

1972



## გზის დასასრული

ცის ლურჯ ბუდეში ჟივჯივებენ  
ჩვენი დღეები,  
მზიან იმედებს  
და ვარსკვლავებს  
ისევ კენკავენ,  
ზღვა და სიცოცხლე, ვით აროდეს  
ისე მოშივდათ,  
რადგან ერქმევათ მალე –  
„წარსული“,  
რადგან ჩამავალ მზის –  
თეთრ კოშკიდან,  
ვითარცა ღამე მოსჩანს ჩვენი გზის  
დასასრული.

1968



\* \* \*

ჩემთვის ქვეყანა ჩამოლუსკუმა,  
დედის თბილ ხსოვნას ცრემლებს  
ვერ ვაღვრი,  
მწუხარებისგან ცრემლდაშრეტილი  
და პატრონმკვდარი.

მე ვარ ის ძაღლი,  
მეგრული სახლის ლაფაროსთან  
ცას რომ შესტირის.

1983





## ზღვის ყურე

ზღვის უზარმაზარ სასაკლაოდან  
ჟამი-ჟამ ისმის  
ზვირთთა ბლავილი.  
და აი ახლა,  
ღამემ მასტუმრა ზღვას და...  
შორიდან მომავალი ღელვა მიყურებს.  
ცივი ქარიშხლის  
ტოტი უღევს თავქვეშ სასთუმლად  
და წელში მოხრილ  
მთვარის ჩრდილქვეშ  
სძინავს ზღვის ყურეს.

1965



## ერთი ნაბიჯი

ყოფნა,

არყოფნა –

ერთი ნაბიჯი

და იმ ერთ ნაბიჯს სულს ვწირავთ და

ვედრებთ უხილავს,

ვით წმინდანები მამა მარკოზ

და თეოფილი.

და ნაბიჯს აქვთ, ცას, –

სიცოცხლის წვდება

ქუხილი,

და ნაბიჯს იქით –

სიწყნარეა პირველყოფილი.

1985



\* \* \*

ზაფხულ და ზამთარ აქ ყვავილობს  
დრო –  
გარდასული,  
ძეგლებს თუ ბორცვებს –  
თაფზე ადგათ  
ხსოვნის ნათელი,  
თუმც არასოდეს იცილებენ  
დარდის საფარველს  
და როს ჩავივლი,  
არ მსურს, მაგრამ  
სხვა ჟრუნტელით,  
სასაფლაოსკენ თვალს გავაპარებ.

1966



\* \* \*

ქარის აკვანში ზღვა ისევ წევს  
დედაშობილა,  
და აი, ახლა, დილაადრიან –  
დამენათევი ცისფერ ჩაღანით, –  
მარტოდ რომ მიდის, – ზღვის ბილიკზე,  
ჩემი ღანია,  
ზღვისებრ დიდგულა  
და ქედმაღალი.

1964



## ზაცხა მებრული

თვალს აბრიალებს,  
ფერფლად ქცევას  
წუხს ნაკვერჩხალი,  
გარეთ ცა ტირის და წყვდიადია.  
შიშს უყევენ და ნაგაზები სოფელს  
იკლებენ,  
დავლურს უვლიან  
აღზე ჭინკები,  
კვამლის თოკებით მერე სიყრმის  
სხვენზე ადიან.

1959



## იოზი

მაღალ ღმერთებთან საუბრისთვის  
დასაჯა ზენამ,  
ფუთფუთა მატლი,  
ფიქრთა მატლი, ეხვევა ღრუბლად,  
თუკი დავარდა,  
იაყვანს და დაისვამს წყლულზე.  
ზის მოთმინების სამფეხა სკამზე  
და მოწიწებით პოეტი –  
იოზი,  
მაღლობას სწირავს ტანჯვისთვის  
უფალს.

1970



\* \* \*

ოკეანისკენ მიიქცევა გზა –  
შენეული,  
შვილი ვარ შენი...  
და ვალი რომ გადამეხადა  
მრავალი დილა გავისისხამე, –  
შენ გიგალობდი...  
მოწმე ალბათ ცაში  
ღმერთია,  
მაინც ვალში ვარ...  
ფიქრში კვდება მაისის ღამე,  
რაც ვიგალობე, ზღვაო,  
ალბათ,  
ზღვაში წვეთია.

1967



\* \* \*

დედამიწაზე დაუტევარი  
პოეტის სული  
მკვდარი  
ნახევრად,  
აი, ახლა  
უხმოდ გდია ძილის  
მინდორზე,  
დაჩხავის ღამე...  
და ფრთაშავი  
სიზმრები ძიებნის.

1970





\* \* \*

რბევად მოვარდა გულბორგნეული,  
მოსაგებელი –  
ცას და მიწას  
ისევ მიაგო.

აღარ დაწყენარდა,  
არ მილულა თვალი  
წამითაც,  
არ მოასვენა მუხლი –  
დაღლილი  
და... ქარიშხალი როცა წავიდა,  
ზღვა გაეტირა უკან  
ბაღლივით.

1966



\* \* \*

მტკვრის ღამაზ სარკეს ჩასცქერს  
თბილისი  
და ხედავს წარსულს...  
თვალეებს ახელს მტრობა ფარული,  
რომელიც მთებმა დიდხანს იჯავრეს:  
ცეცხლი...  
ეიჟინა...  
ხმლის კაშკაში...  
ცხენთა თქარუნი..  
ქართლის დედების მოთქმა...  
წყველა...  
ლოცვა...  
პირჯვარი...

1963



## თუ არა იგი

თუ არა იგი,  
ამ მაღალ ხეებს,  
ჩვენ რომ ვზრდიდით და ჩვენ  
რომ გვიყვარდა,  
კუბოს საფიცრედ ვინლა გათლიდა?  
თუ არა იგი,  
მხოლოდ ერთხელ  
ვინ წაგვიყვანდა –  
იმ სიბნელეში...  
ამ სინათლიდან.

1970



## მიწის ტკივილი

სასაფლაოა მიწის ტკივილი,  
ის-იების თვალები რომ  
მზემ აუხილა –  
მამის საფლავზე უკვე მეშვიდედ.  
სასაფლაოზე –  
ფეხაკრებით  
დიდის წუხილი,  
სასაფლაოზე –  
ჰევავის სიმშვიდე.

1985



\* \* \*

შეჰკედლებია ზეთისხილის ჭაღას  
ფროთოსნები,

ცა უცებ ხურავს –

შელამების ფერად

მარაოს

და დღეს ნათელი შუბლზე აშრება,

მოუმწვედევია

პაწაწინა –

ტაღლა ნაპირთან

სიოს და ჩუმად ეთამაშება...

1970



არაზონ, არსად

ლოდიდან ლოდზე,

დღისით და ღამით –

გადავიწყება დაცოცავს ხავსად...

ღამის ჭიშკართან წრასულ დღეთა

მიმწყდარა ჩქამი...

არავინ,

არსად...

1965



\* \* \*

ცეცხლისთვალეა მზე,  
მშობელი მამაა ჩემი,  
მთელი დღე შრომობს –  
სხივთა მარცვალს თესავს და თესავს,  
აღარ ისვენებს არცერთი წამით,  
როდესაც ჩავა,  
დაქანცული წევს სიჩუმეში,  
და... რიჟრაჟამდე აბოლებს ღამეს.

1965



\* \* \*

ზღვა, ვითარც ფარა, დასამწყემსავი  
აღბა,  
აბღაგლდა  
და შორიდან მომესაღბუნა,  
წამსვე გრიგალი ამოვარდა და  
გახელებით  
ეძგერა ზღვას და...  
გადაუგრიხა  
ჩემსკენ გაწვდილი  
ზვირთთა ხელები.

1967







## გზაჯვარედინი

ყოფნა-არყოფნის გზა –  
ჯვარედინი,  
გახენის დღიდან გვითვალთვალებს ისე  
მრისხანედ,  
ვით საქართველოს ჯალალედინი.

1959



## მომენატრება

ჩემი ბავშვობა

ჩამოტეხავს ჭონტოს

ჩიტლეღვას,

აივსებს უბეს პარას თხილით,

ომას ატმებით

და... წაიქცევა...

ბავშვის ტირილს როცა გავიგებ,

ჩემი ბავშვობა,

ჰოი!

როგორ მომენატრება.

1967



\* \* \*

სიმყუდროვეში,

სადაც დგანან მთები დიდრონი,  
ვიდექ, ვითარცა პოსეიდონი,  
და ჩემს მშობლიურ ცას გავყურებდი:  
ნაფეხურები

გაზაფხულის

ჩანდა ყურესთან

და გაფოთლილი ზღვა

თოლიებით.

1964



ახლაც, ო, ახლაც...

ახლაც მთაწმინდის საცალფეხო  
ბილიკს მიყვები,

დამხედა:

თბილისს უთენია

თვალი მოვაგლო,

(ეს სულერთია ცივა თუ თბილა.)

ახლაც, ო, ახლაც,

უხილავმა მტკერის ღილაში

კვლავ ამოავლო

და ნარიყალას ნანგრევებზე

დაკიდა დილა.

1962



## ჩემი ოცნება

სიყვარულის ცით ავსებული  
ჩემი ოცნება,  
რომელიც დაჰქრის სიმღრებად,  
და დაგრიგალობს,  
მოვა შენ წმინდა,  
ლოცვით დაღლილ  
საკუროთხეველთან  
და სიკვდილამდე შენთვის იგალობს.


1980



## ნათურები

ღამის სიდრემში –  
დამფრთხალ მზერას აფათურებენ  
და ქალწულებივით  
ფერმკრთალები  
სინათლეს იცინიან ნათურები.  
მათ აღარ აშინებთ  
ღამე და სიცივე  
და ღამის ქალაქი  
და ღამის სოფელი  
სავსეა იმათი მხურვალე სიცილით.

1959



## მორჩილება

სიცოცხლე ნუთუ წვალებად ღირდა?!  
ასე მუდამ:

მოვისურავ მზის კარს

მწუხრისას

და დაქანცული გაუდივარ დღიდან,

და მთელი ღამე მთვარეულივით

ძილ-სიზმარეთის

მტვრიან გზაზე დავეხეტები.

1972





\* \* \*

ცაზე ეკიდა ჩვენი გემბანი,  
ქარიშხლისა და  
ბედისწერის  
შავი ბაგირით.

იდგა სიფხიზლე  
და გვანჯღრევდა...  
და მთელი ღამე

ზღვა,  
თოფდაკრული ნადირივით  
ბნელს გაყმუოდა  
მშიშარ ნაპირთან ტალღები კი  
ყეფდნენ და  
ყეფდნენ.

1959



\* \* \*

ეფარებოდნენ ხავსიან ლოდებს  
და ომობანას  
თამაშობდნენ  
ციცქნა ბავშვები.

დუმდა სიკვდილი...  
დამშრალიყო ცრემლის აუზი.  
და მზე შუადღის ტოტს ეკიდა  
როგორც ნახატი.

გულ-ხელდაკრევილ  
და მოწყენილ  
სასაფლაოზე  
ჰყვოდა პეპლის უცხო ფარფატი.



\* \* \*

ისევ ინახავს მოგონებებს  
მონეტებივით,  
ეს ჩემი გულის  
ხსოვნა ღარიბი,  
სადაც, ოდესღაც სიყვარულის  
სხივი აენტო.

და მაშრიყიდან,  
საღღაც, მადრიბით,  
მიდის ჩვენი გზა,  
უგულო და  
უერთმანეთო.

1964



\* \* \*

ღამე ღრუბლებში –  
გზას მიიკვლევს  
მთვარის კომპასით,  
სძინავთ გრიგალებს ზღვებით  
გაღეშილთ.  
ვზივარ გემბანზე,  
კივის წუთი –  
სევდის მომტანი  
და ჩემი ფიქრის უზარმაზარ  
ოკეანეში –  
შენი,  
ო, შენი ხსოვნის გემი  
ისევ ტორტმანებს.

1992



\* \* \*

ადგა გრიგალი  
და სივრცეთა ფრთები  
გაშალა,  
უსაზღვროება ისევ ინდომა,  
ტალღები სტყორცნა მიწას  
მშვილდებად.  
და ვეღარ შესძლო,  
თვით ღვთიურმა  
პოსეიდონმა  
ცოფმორეული ზღვის დამშვიდება.

.....

სად ხარ, უფალო!

1964



\* \* \*

გადაუფრინეთ პირინეის და კასტილიას,  
ირწევა ფრთები  
ყოფნა-არყოფნის.  
ღრუბლები ელვის ლაგამებს ხრავენ.  
ვარსკვლავები კი კვლავ  
დასტირიან –  
მეტეორებით განგმირულ ღამეს

1984



## იულიუს ფუჩიკი

წამართვეს,

ღამეც არ დამიტოვეს,..

მეთქვა,

ვით მეთქვა,

სათქმელადაც დრო ვერ ვიხელთე.

რადგან ყოველ წუთს

სააღერსოდ

თქვენსკენ მივყავდი.

მე გიმაღავდით,

სიცოცხლეში

ვეღარ გიმხელდით:

„ადამიანებო! მე თქვენ მიყვარდით“...

1967



## ზამთრის ღამე

ქურს უბდებს თოვლი  
ცეცხლს, – ხმამაღლა  
გალობს ბუხარი  
და ღამე მიდის, ვით ეფემერა...  
ჩემთან ზის დედა.  
და მტირალი  
ჩემი ბავშვობა  
კალთაში უწევს და ეფერება.

1982





## ევექსინის პონტო

პონტოს ნაპირზე,

შორ, უხსოვარ დროში

ნათესი,

ახლაც ბიბინებს შიში –

ღმერთკაც მითრიდატესი.

წარსულის ზღვაში ჭრიალებს ანძა

და იძირება რომაელთა

ფარ-მუზარადი.

ევექსინის პონტოს აცვია ძაძა,

მითრიდატეს და...

საკუთარ თავს

გლოვობს მარადის.

1982



## მშობელია მიწა

განმარტოება შემოგვაჭდობს  
დაბინდულ მკლავებს  
შუბლს გაგვიგრილებს სურო და დაუნა,  
აწრიალდება ღუმელი მძაფრი.  
და... მწუხრის ხელით ჩაჭრილსა და  
ჩარღვეულ საფლავს –  
მშობელი მიწა ამოკერავს –  
ბალახის ძაფით.



\* \* \*

ელვით დასერილ,  
ნაოჭიან სახეს  
უკაწრავს  
ცას, თოლიების განწირული  
წივილ-კივილი,  
რომლებსაც ქარის სუსხიანი  
სუნთქვა აშინებთ.  
ზღვა ნასიცხი და  
ნახორშაკალი,  
სანაპიროზე თავს მიადებს და...  
ჩათვლემს მაშინვე.

1962



\* \* \*

შენ არ ხარ ჩემთან,  
მაგრამ შენ სახელს –  
ჭაბუკი დილა გვირგვინს უწნავს  
ღამის გადაღმა.  
და სადღაც ნაპირს ზღვა ედავება.  
ოთახის ფანჯრებს –  
ვალეხ სმამაღლა,  
რადგან წუხილი,  
და ფიქრები  
მეცოტავენ.

1989



\* \* \*

ციდან მოფრენილ ღამაზ ფიქრით  
მოულოდნელად,  
სწრაფად  
და უცებ,  
სანაპიროზე, როგორც პერგამენტს,  
ზღვა – გაშლის ზვირთთა  
მძიმე  
გრაგნილებს,  
ქარი  
გაფანტავს თოლიების –  
ქათქათა ფურცლებს.

1964



\* \* \*

მზე მიიდრიკა,  
და მიწუნარდა –  
სხივთა ნადური,  
ცვარის ძახილზე გაიღვიძა  
ყვავილმა კუსმის.  
დანის ნაპირზე –  
მოწყენილი ზის  
მეზადური  
და ზღვის მოქცევის გალობას უსმენს.

1969



\* \* \*

გამოვეთხოვე ღამის წამებას  
და შენსკენ მქროლაგ, –  
აღვირახსნილ დღეებს  
მივდიე...  
გავაღე გული,  
როცა ცისკრის  
მესმა კაკუნი.  
და, აი, ახლა,  
სამიზნედ, ვით  
ველურ ინდიელს,  
მე,  
შენს სიყვარულს,  
ტანჯვის ბოძზე ვყავარ გაკრული.

1967



\* \* \*

აჰა, აპრილი,  
ვისაც უკმევდი,  
დედაო-მიწავ! –  
თეთრ აკაციას,  
ღირიჟორივით მოქათქათე უჩანს  
გულ-მკერდი,  
გარეთ კი მწვანე ფრაკი აცვია.

1950





**მატარებელი – „თბილისი-ფოთი“**

„თბილისი-ფოთი“ მანძილსა და  
ღამეს იცოხნის,  
ლიანდაგივით ხელები მეც წინ მაქვს  
გაწვდილი,  
რადგან მშობლიურ  
სამეგრელოში  
თვალცრემლიანი ისევ მეგულის –  
ჩემი ბავშვობა  
და სიყმაწვილე  
და ძილგამტყდარი „ნანა“ მეგრული.



\* \* \*

მღელვარ ზღვასთან მდგარ ჩემი მამულის  
ციდან ჩანჩქერი მოქეხს  
ფერების,  
და ყველასაგან დაუფარავად –  
ჩემი სიცოცხლე  
კვლავ ეფერება  
ქართლის ველებზე წამოწოლილ  
მთათა ქარავანს.

1977



\* \* \*

როცა კანდამსკდარ ბროწეულივით  
მზე –

დასალიერს მიეწურება  
და როცა მთვარეს გაიღიმებს

ზეცა –

ქართული.

მაშინ ათასფრად ოქრონაფენი –

მოისმის ლურჯი

ფრთების ფათქუნი:

ზღვა მხრებს ისწორებს

და ბუდიდან ლამობს აფრენას.

1966



## ჭრიჭინები

როცა ხელთ აქვთ მიღებული  
მთვარის ჩანგი,  
და ვარსკვლავთა  
ჭუნირი და ჭიანური,  
როცა ზეცა,  
თოლიებით დათოვლილი  
ზღვის ფერია,  
ჭრიჭინობლებს მაშინ ერთი,  
მოსდით აზრი  
ჭკვიანური:  
მიდიან და შენ სარკმელთან –  
ჩემს მაგივრად  
სერენადას გიმღერიან.

1989



\* \* \*

ღამის გუმბათზე –  
მნათობების უცხო ფარფატი,  
მთვარის სვეტები...  
მოვარდისფრო ღრუბლების თაღი.  
აღმოსავლეთის ცის კედელთან მზე,  
როგორც ნაღმი,  
დალახვროს ღმერთმა...  
ქალებზე ფიქრი,  
პოეტს კი არა,  
ეშმაკსაც დადღის.

1973



\* \* \*

გვიან...

როდესაც

დავიწყების ვიწრო ბილიკით  
ჩამოივლის და ხართვალა  
შემომეჩვენევა,

მაშინ,

ო, მაშინ,

სხვისი მზე არა, ჩემი, ქართული,  
სხივებს ჩაგზავნის  
და მომძებნის და ძვლებს  
გამითბობს,  
მარტოყოფნის ყინვით გათოშილს.

1970



\* \* \*

სსოვნის ნისლიან ლაბირინთებში –  
უცებ გადირბენს  
ფეხაკრეფით  
შენი წარსული  
რომელიც დიდხანს სულს მიკორტნიდა.  
და, აი,  
ახლა,  
წუხილის ხის ბებერ ტოტიდან  
ცვივა ცრემლების თოთო  
ნაყოფი.

1969



\* \* \*

ზღვები

მაღალ მთებს მისწოლია  
გველესაპივით.

წუხს დედამიწა

მძვინვარ ყბებში  
ოკეანეთა.

1962





## მთეპი

ქალაქის ირგვლივ შემოწყობილან  
და დაუხურავთ  
მომთვარული  
ღამის მერდინი.

ფიქრში იელვებს  
თემური და ჯალაღედინი  
და მონღოლების ურღო  
წყეული.

ო,

არა, ახლა,

მტერს კი არა,

ჩემი თბილისი,

მთებს სიყვარულის დიდ ალყაში

ჰყავთ მომწყვდეული.

1968

\* \* \*

ზიხარ მარტოკა  
მდუმარების  
მოწყენილ კოშკში  
და ლურჯი ჭიდან შენი თვალების –  
კამკამა ფიქრის ოწინართ  
ამოგაქვს  
ცრემლი  
და სასოებით უსხამ ნიადაგ,  
სიყვარულის ხე  
მაინც ვერ ხარობს.

1969



\* \* \*

ადრე თუ გვიან,  
როს მარტოობის  
ღამეულ ბინდით  
შევიბურები,  
და მთებს როდესაც ჩაესმებათ  
პონტოს ბღავილი,  
მკვდრეთით აღვდგები  
და სიყვარულით  
ჩემი თბილსის ხმაურიან ქუჩებს  
დავივლი,  
სიმყუდროვიდან გამოპარული.

1975



## გაზაფხულის წვიმა

კითხულობს ღმერთი  
ცის და მიწის წიგნს,  
ო, რამდენი აქვს  
მოსაგონარი...  
ხან ატირდება...  
ღირსახსოვარ დღეს ჩაინიშნავს –  
ცისარტყელას  
ფერად ზონარით.

1962



\* \* \*

თვალეში ისევ ყუჩობს მოწყენა.

შუბლდასერილი,

სიმარტოვის

შავი ფალანგით.

ტანზე მაცვია გაზაფხული,

ვით აქვალანგი,

და შენს დაკარგულ ღიმილს

დავეძებ –

ხსოვნით შებურვილ

ზღვის უსაზღვრო

მღუმარებაში.

1972



\* \* \*

დარდით გაფოთლილ სიხუმეში  
დრო მიშლიგინებს  
და სიბნელეში სინათლის ეშვით  
აბრუნებს მთვარის  
გაბზარულ დოლაბს.

ანთია ღამე...

და ღრმა ძაღის უსიერ ტყეში –  
აურაცხელი სიზმარი ბოლავს.



\* \* \*

ღამეულ ბაღში –  
ვარსკვლავები ისევ მწიფდება,  
მთებმა ნისლები  
შემოისიეს,  
როცა მნათობმა  
მწუხრის კარი  
ღია დასტოვა.  
უფალო ჩემო! –  
ცას შეეყურებ.  
და შენს ღიმილად მესახება  
ელვის გაკრთომა.

1965



\* \* \*

ზღვისკარად კანკალებს სიცივე,  
ემტვრევა ყინულის  
ნეკნები.

და მთვარე უდუღო კვიცივით  
ღრუბლებს სძოვს...

ღამეა თებერვლის...

ზღვის ფსკერზე ურიცხვი ვარსკვლავი  
ინთება –

ქარიშხლის შებერვით.

1960





\* \* \*

ზესკნელის ფსკერი გაიბზარა  
მოულოდნელად,  
მერე ღრუბლების დარღმა გაჟონა,  
ბნელმა ჩაუქრო სანთურები მთვარის  
ობელისკს  
და გულგანგმირულ ცის სიმყუდროვეს  
შერჩა იმედად –  
ერთადერთი მანათობელი.



\* \* \*

ფიფქები თოვლის თეთრი თითებით  
ტალღების ცისფერ  
კლავიშებზე

სონეტს უკავენ,  
სანაპიროზე როცა ჩავივლი.  
ზღვას კი ქარები,  
სველი ხელით  
ბაგეს უკრავენ,  
და მაინც მესმის ვაჟკაცური  
მისი ბღავილი.

1972



\* \* \*

იმედები ვით განთიადები,  
კვლავ ამოდიან –  
სიმყუდროვიდან  
და სიხარულით ისევ მიქნევენ  
მოვარდისფრო დროშას  
მოთმენის  
ამ გაზაფხულზეც  
შენზე ფიქრებით  
და სიმღერებით შევიფოთლები.

1960



## ივლისი

ფოთლოვანებში კურდღელივით  
რბის ნაკადული,  
ივლისის ხვატი  
უკან მისდევს მეძებარივით  
და ვითარც ლეკვებს –  
დღეებს გზა-გზა მიათამაშებს...  
გლახიკაცი კი,  
მშობლიური მიწის მორჩილი,  
მიწის ფესვივით დგას შუა ყანაში  
და გააღებულ მზეს  
შესცქერის  
ხელის მოჩრდილვით.

1969



\* \* \*

გამთენიისას შუა კერამ  
მიღულა თვალი  
და ძოწის ფარჩა ნელა აკეცა.  
მოვარდა ქარი,  
ზეცამ მზერა ესროლა  
ბეცი.  
ქარის ძახილზე,  
ჩაძინებულ მუხის ნაკვერცხალს  
გაეღვიდა და გაახილა  
თვალები ცეცხლის.  
და მერე აღის პირბასრი დაშნით  
გამოუფატრა ვარსკვლავები  
ღამის შავ მუცელს.  
მძინარი კერა, –  
ბნელში და ქარში,  
ჭრილობასავით გაიხსნა უცებ.

1962

## 300 მაწუალია

მოულოდნელად გამოფრთხაილდა,  
როცა გავხსენი –  
ფიქრის გაღია.  
და ახლა მინდა ერთი ვინატრო,  
რომ ეს გალობა,  
ვით მაწუალია,  
შენი მაღალი ხსოვნის ჭერქვეშ  
დავაბინადრო.


1966



## პირველ თოვლში

ციურ სიწმინდედ მორღვეულა  
ცათა კარები  
და ფანტელ-ფანტელ  
ძირს ჩამოდის უფლის ხატება,  
რომელიც მუდამ,  
გამოუცნობ  
ნათელში მხვევდა  
და, მე ყოველთვის –  
ბავშვის თვალში  
და პირველ  
თოვლში –  
შეუბილწავ და პირველყოფილ  
სამყაროს ვხედავ.

1969



\* \* \*

იავარქმნილა მთვარის თეთრი  
საბრძანებელი,  
ღამის გაღმიდან კვლავ, სინათლის  
ისმის ძახილი,  
სიბრძნე კვლავ უონავს  
სულხან-საბას ძველ არაკიდან.  
და შავნაბდიან ღამეს ისევ,  
ვით მენახირეს,  
გაყავს მშიერი მნათობები  
ცის ჭალაკიდან.

1961





\* \* \*

ქართული ცისქვეშ –  
უეცრად რომ გადაირბინა,  
მეხი კი არა,  
მიაქროლებს ულავს უბელოს  
დამარცხებული თურქთა ამირა.  
კავკასიონზე მიმავალი  
შავი ღრუბელი –  
ჰგავს ლეგენდიდან გამოქცეულ  
ღმერთკაც ამირანს.

1962



\* \* \*

საჯიხვევებზე ელვა ჩამოდის  
      წყვეტილ ყივილად –  
      შვილწართმეულ დედა არწივის  
და გარინდებულ სივრცეს აშინებს.  
უამი კი ბნელში ჩამომჯდარა და  
      გლესკაცივით  
შავ ღამეს  
      თეთრ დღედ აშალაშინებს.

1961



## თბილისის დილა

მზე ჭაბუკივით ცის კიბეებს  
მიჰყვება ნელა,  
ცას ქალწულივით რცხვენია და...  
უფრო წითლდება...  
ვღგავართ პირისპირ,  
(სიყვარულმა ეს გვარგუნა)  
და საქართველოს მზის სადღეგრძელოს  
მე და თბილისი ვსვამთ ვახტანგურად


1957



\* \* \*

ზღვა აკვანს ურწევს –  
 და იძინებს ფოთი, ყულევი,  
     დარაჯად უღვას  
     ხომალდების ჯარი ულევი, –  
 როგორც სიცოცხლე –  
 და ემბლემები თურქთა და სპარსთა  
 ახლა არავის ეუცხოება.  
 და გაჰყურებენ  
 ბობოქარ ზღვას ჩვენი გემები,  
 როგორც გმირული ბრძოლით განვლილ  
 ღამაზ ცხოვრებას.

1957



## წერო

მდინარე გარბის შიშველ სხეულით  
და ალებივით თრთიან ძეწნები...  
ტალღები, როგორც ათასწლეული  
ტყდება, იმსხვრევა და იძერწება.

დინებას მიაქვს რაც კი ქებულია:  
ხმები, ფერები,  
გზა და სურვილი,  
თითქოს ამაზე ჩაფიქრებული  
წერო წყალს ჩაცქერს მებაღურივით.

1955



\* \* \*

შორს დარჩა, როგორც დასაღიერი,  
ჩემი ხორგა და შენი აწყური,  
ჩემს სიცოცხლეში ასე ძლიერად  
მზე და სიცოცხლე შენ მომაწყურე.

და ჩემი სისხლი შენში გადადი,  
და შენ მაგონებ მთრთოლავ უსურვავს,  
სხეულში გვიდგას სიცხე მკათათვის,  
რომელმაც გულებს დეღვა უსურვა.

1956



\* \* \*

ესე სიმღერა

ზღვის ნაპირას

ნერგივით დავრგე

და მერე ბევრი ვბარე და ვთოხნე,

და აი, ახლა,

მსხმოიარე ვითარცა ვაზი –

აჰა, მოგართვი საქართველოგ!..

ჩემს ღამაზ კოლხეთს

კიდევ მრავალჯერ –

ზღვის გალობად დაგისვამ ქნარზე.

1967



## ტყუში

გავარდა მეხი...  
 წამოცვივდნენ სველი იფნები,  
 მერე გარინდნენ, სუნთქვა შეჰკრეს,  
 როგორც თულებმა.  
 გამეფდა შიში, ვით სიცოცხლე და  
 ჩაფიქრება,  
 მაგრამ ანაზღად ტყე დაიძრა,  
 როგორც თქმულება, –  
 მოვარდა ქარი...  
 ხის ტოტებზე ციცქნა ქოსივით  
 ბუდე ჰკიდია და ივსება  
 მზითა და ქარით.  
 დგას ბერი მუხა მოხუცივით წველში  
 მოხრილი  
 ფიქრობს... ფიქრობს... და  
 ვერ იხსენებს გაჩენის თარიღს.



## ველი კრწანისის

კიდევ ცოტა და...

გამარჯვება ბუკს ჩაჰბერავდა,  
ხმლით დახნულ ველზე თქმულებები  
ფესვს გაიდგამდნენ,

და ძღვევის დროშად აფრინდებოდა –  
მოხუცი მეფის ხმა და ძახილი,

სისხლს გაიწმენდა პირი მახვილის,  
მაგრამ... იკივლა უცებ დალატმა.

და... ჰა, მას მერე,

ველი კრწანისის,

ყაყაჩოების ცეცხლით კი არა, –  
ვაჰმე!

სირცხვილით გაწითლებულა.


1963



\* \* \*

ტანჯვის გზაზე მდგარ ცხოვრების ხეზე  
ვართ მიბმულები  
სიცოცხლის თოკით,  
და არასოდეს გვინდა აშევა.  
მაგრამ ყოველთვის  
უცხო თამაშით,  
გვინდა,  
არ გვინდა,  
ბედისწერა გვეთამაშება.

1963



\* \* \*

ზღაღში დამხრჩვალებს და დაკარგულებს,  
თმაგაწეწილი ქარი დაეძებს...  
მოდინ როგორც ჭირისუფლები,  
შავით მოსილი, შავი ღრუბლები  
ტირიან... და ცა, ელვით იხსენებს,  
მაინც ვერავინ ახერხებს პონას  
და... ფსკერზე მშვიდად ვინც  
განისვენებს –  
ზღვას დაფარფატებს თოლიებად იმათი  
ხსოვნა...

1991



\* \* \*

ირაკლივით გადაჭურებს კახეთს  
თბილად ცივგომბორი:  
არც თურქი ჩანს, არც ხაზარი,  
მაინც უამი არ ჩანს მშვიდი.  
ალაზნის ველს, ალაზანი –  
მოუჭიმავეს როგორც მშვილდი.

1958



## ბავშვობის მოგონება

სოფელი...

ეზო მოღობილი ტრიფოლიატით...

ჭა... (ოწინარი ფეხისწვერზე ისევ იწვეა.)

მეგრული ოდა...

კოპიტის ხე და საქანელა.

საქანელაზე ზის მტირალი ჩემი ბავშვობა

და დედის ხმაზე მშვიდად ირწვევა...

1962



## VIII საუკუნე

სიავით სპარსიც დაჩრდილა აღვიახსნილმა  
არაბმა.

წევს ქართლი ისარგანრილი.

და, თქვა: მტკვარმა და

არაგვმა:

„იგი ვეფხვია დაჭრილი, მაგრამ მომაკვდავს  
არა ჰგავს!“

1970



## მედეას ოხვრა

„აღბათ იგონებს გრიგალებში  
მძინარ დიოხებს,  
შავი ზღვა როცა ამოიხრებს.  
ვაჟა ეგრისელი

ეს ზღვის კი არა,  
მედეას ოხვრაა,  
ვითარც სხვა, შვილმკედარი დედები,  
მასაც აქვს უფლება ოხრავდეს.  
მან გადასცურა შორეული ზღვა –  
ლეგენდების  
და მოაღწია ელადიდან –  
კოლხამდე.

1959



\* \* \*

მე უნდა მოგკედე... რადგანაც,  
ქვეყნად გაჩენით უფალმა  
ბევრჯერ შემყარა ვაებას.  
ქედს მაინც მის წინ ვიხრი.  
რათ მინდა მე უკვდავება,  
ნეტა რა თავში ვიხლი.

1991





## ვარსკვლავიანი ღამე

იხუნძლება სივრცე

მტევანებით ქარვის,  
მსხმოიარე მნათთა მწკრის მიყვება  
მწკრივი...

ცას ხელთ უკავია მთვარე,  
ვით სასხლავი.

მზე რომ გარდაიცვალა,  
ღამე, როგორც ქვრივი –  
უცებ შეიმოსა შავი მოსასხამით.

1987



## ხერთვისის ციხე

ანთებს და ანთებს თვალების კოცონს,  
ციხის გოდოლზე –  
ავის მაცნედ გაჰკივის ჭოტი.  
ქარი კი, სადღაც ერეკება ღრუბლების  
ფარას.

იელვებს ელვა...  
და ღამის ტოტზე  
კვლავ დააბუდებს შიშსა და წკვარამს.



## მზე და მზესუმზირა

გამთენიისას, როს ცათა მეუფემ,  
გაღალა მნათობთა ნახირი,  
მოხდა იჩქითი შეხვედრა:  
მზესუმზირამ მზეს თვალში შეხედა,  
შერცხვა და...  
მას შემდეგ დგას თავდახრილი.

1965



## მეწვის ღღეები

არ ჩანს უფალი, რომ გააშველოს  
ძმები ერთმანეთს –  
ღვთის ბოძებულ ნათელს ართმევენ  
დარდი იფქლივით უფრო ხშირდება,  
როდესაც ვხედავ:  
თუ როგორ ჰკლავს ქართველს  
ქართველი,  
მეწვის ღღეები... და სიცოცხლე  
მინახშირდება...

1992



\* \* \*

აღვის ტოტებზე დაკიდულ მთვარეს,  
ვით ოქროს საწმისს,  
ქარი კვლავ არხევს,  
და ცაზე უცებ გამკრთალი ელვა,  
მე მჩვენება აიეტის ცეცხლის ხარებზე,  
იაზონის  
მოქნეულ სახრედ.

1958



\* \* \*

ზღვა ცოფებს ყრის და...  
მე გადარჩენის  
აღარ მიტოვებს იმედს – იოტის,  
თან სდევს წყვილიანი აკომპანიმენტად,  
მაგრამ შორს, სადღაც  
ხმა მიკიოტის,  
ცად გაიეღვებს, როგორც კომეტა.

1962



\* \* \*

ერთი ღრუბელი, ვით შავი კატა,  
ვეება ღამის ტოტიდან ტოტზე  
მიხობავს მუცლით...  
და შორით ხედავს:  
ცა მნობების ბუდეებით რომ არის საესე,  
სადაც სინათლის ბარტყები  
სხედან.

1963



\* \* \*

არყოფნა არის მარადიული,  
ყოფნას კი მუდამ  
დღე აქვს დათვლილი  
და ხელი უდევს ძილის აღვიზე.  
რომ არ ვიქნები,  
მერე ხსოვნამ თუკი ჩათვლიმა,  
თქვენ შეანჯღრიეთ და გააღვიძეთ!

1989





\* \* \*

დღე ღამის კალთას თავზე გვაფარებს  
და კვლავ დაგვცქერის თვალი –  
მოწყალე,  
თუმცა მიგველის ღამეული ცივი მადლობი.  
შორსა ხარ მაგრამ..  
რომ ხარ ცოცხალი,  
მადლობელი ვარ ამ სიახლოვით.

1991



## სამთავისი

ჩამავალი მზის დახრილ ტოტებზე,  
ცას რომ ანახოს უძღურება  
ქარმა თავისი,  
შორს მიქვს სადღაც ბაბუაწვერას თეთრი  
ოცნება.  
მკერდს მიხუტებულ ჯვრით –  
სამთავისი,  
დგას სიხუმეში, ვით გაოცება.

1969

## ეგრისის ციხე

როცა ეგრისის ციხეს ჩაუვლი,  
გვიან გაჩენის შემაჟროლებს  
დანაშაული,  
და მესმის ხმები, შეწყალების არა  
მთხოვნელთა.

მთვარის ფართით და  
მზის შუბით ხელში,  
ქონგურებზე მდგარ –  
გუბაზ მეფის მეციხოვნეთა.

1966



## ალბატროსი

უამს მიმწუხრისას ზღვად ჩაძირული  
ღუზა, მზესავით ზე ამოაქვთ  
ღილით მატროსებს,  
თუმცა გრიგალი ცივ ნაპირზე ამსხვრევს  
მინანქრებს...  
გემის ანძაზე ზის ალბატროსი –  
შლის და ვეღარ შლის  
ფრთების იარღქნებს.



## ზაფხულის ღამე

თითქოს და ჩიტის ბუდეა ღამე –  
მოწნული ელვით და  
ღრუბლების ბალახით,  
მთვარე დედა ჩიტობას იჟინებს,  
ჩეკს და ჩეკს მნათობებს...  
და მერე სხივებად,  
ჩამოდის ჩვენამდე იმათი ჟიჟივი...

1967



## ორი ბაკვეთილი

ცხოვრება –

ჩემი მასწავლებელია,  
ყოველდღე მიტარებს ორ ბაკვეთილს –

სიძულვილის და

სიყვარულის.

ძნელია, მაგრამ... ვჯახირობ, ვწვავლობ.

პირველს ვერა და...

მუდამ ფარულად –

მეორეს ვსწავლობ.

1962



## მებრული „ნანა“

ვაზისის პირას თქმულებით მზით  
მოყვავილე –

ჰეკატეს თეთრი ბაღი მეგუღვის,  
სად ღამსი ტოტზე ფორთოხალი –  
მთვარე ქანაობს...

და ბაღს იქით კი, ტიალ გზაზე „ნანა“  
მეგრული

მიდის მარტოკა...  
მიფერმკრთალობს და მინინაობს...

1960



## ჩემი ეზო

ძველი სურათი:

სოფლის ალაგე

და ღობის სარზე ცხენის ქალა –

კბილდაკრეჭილი.

ეზოში შეშით დატვირთული მამის ურემი

და ყვითელგულა წიწილები,

ვით ოქროს მარცვალი...

მოხუცი დედა...

და შუკებში ინდაურების

ქალიშვილებივით ტკარცალი...

1968





## ის იყო ღმერთი

ის ღოცულობდა...

თხოვდა უფალს რომ ჩვენებოდა,  
ენტო კანდელი და ტაბლაზე ეღო ხშიადი.  
და გაკრთა ელვა,

ელვა კი არა,

ეს იყო ღმერთი,

გააპო ბნელი, წამიერად აჩვენა თავი  
და მერე ისევ აიფარა ღამის –

წყვდიადი...

1967



## ვერ დაუპვრები

სიცოცხლეს ჩვენსას ჭამს და ინელებს,  
შავი სტომაქი  
ცრემლით ევსება  
მიწას და... მაინც არის უძლები:  
რაც უნდა კარგი წერო ლექსები,  
პოეტო,  
სიკვდილს ვერ დაუპვრები!

1992



## ელია

ნაპერწკლებს ყრიან ელვის რაშები,

სადღაც იღტვიან...

აღბათ ელიან...

ადარ გუგუნებს, ჩამქრალა მზის ძველი

ბუხარი.

წვიმას მიუძღვის ღმერთი –

ელია,

ჭექა-ქუხილის ეტლით ცაზე გადიმქუხარა...

1962



**მე ვარსკვლავებში დავიდე ბინა**

ღამით დახურულ ცის დიდ ტაძარში –  
კვლავ ფეხშიშველი ღოცულობს  
      წვიმა...

ანგელოზების მესმის გალობა.  
მე ვარსკვლავებში დავიდე ბინა,  
იქიდან ვუჭკრეტ –  
      სიყვარულის წარუვალობას.

1992



## ეს არის უდაბნო

გრიალი გააქვთ არყოფნის დიუნებს,  
ყოფნა უსასო,  
უღვთო და უდაფნო,  
მოწყენილი და ნაღვლიანი.  
უკაცო ქვეყანა,  
ეს არის უდაბნო,  
გაღვიძებული ძუ ღომის ღრიალით.

1990



\* \* \*

როდესაც ნახეს მინდორველებმა  
აპრილი,  
მწვანედ გადიკისკისეს...  
წყალს ნარცისივით ჩაცქერს წყურვილი...  
ხეში ყოველთვის  
უხილავი ცეცხლი გიზგიზებს...

1964



\* \* \*

დღისა და ღამის სუნთქვას ისმენდი,  
გული შორეულ მნათობების გრძნობდა  
შერხევას.

და უსასო,

წლებმა მაინც არ მანებივრეს.

აწი ჩემი ხმა

გადაუმსხვრევს რკინის ხერხემალს,  
საუკუნეთა მიუვალ და მაღალ ჯებირებს.

1991



## ღამის ზანტოში

ფერმკრთალი ღამე –

ზის ღრუბლების

თეთრ სავარძელში

და ტყუპისცალზე –

დღეზე ფიქრით შემობურვილი,

ექებს ვარსკვლავთა ოქროსფერ ნომრებს

და კრიფავს დილას,

ხელთ უჭირავს მთვარის ყურმილი.

1959





## შავი ღრუბლები

ზღვათა დელვისგან ამოსულები,  
ქარისგან თითქოს თავისუფლები,  
ხან განრისხებით,  
ხან დაყვავებით,  
ვით ვაჟას დაჭრილ არწივს ყვავები,  
მთვარეს კორტნიან შავი ღრუბლები

1989



\* \* \*

ფესდაფეს დაგედევს არყოფნის შიში,  
ძილსაც გვიმწარებს –  
სიზრები ავი.  
სახეს გვიღარავს ცრემლები მლაშე.  
და დღე – ნიადაგ სმენას „გეიტკობს“  
ყრანტალი ყვავის,  
ვით ტკბილსმოვანი გალობა შაშვის.

1989



## ოქროს საწმისი

ლეგენდებიდან მონაბერი ართობს ნიაგი  
და ღამის წყვილადს  
აღარ იკარებს,  
ათასწლეულთა მიღმა მოჩანს მისი საწყისი.  
განფენილია შავი ზღვის კარად –  
ჩემი კოლხეთი –  
ოქროს საწმისი.

1962




## ხილვა

მოგონებებში –

სობისწყალი ნაპირს გადმოდის  
და ნათლად ვხედავ:  
დგას დამბაზე ჩემი ნაცნობი  
ბიჭი, რომელსაც ტანთ აცვია  
ზვიროთა პერანგი  
და დიდ ღვარცოფში  
მოჩანს ვითა არქიპელაგი.

1963



## ამდენი ლოცვით

ასე მგონია:

ქრისტეს შობამდეც,

ქართველი კაცი თავის ბუნებით

იყო, ო, იყო ქრისტიანი

სულით და ხორციით.

ღმერთიც შეველოდა. უღმერთოთა ომებით  
დაღლილს.

შეხედეთ ზეცას,

ღვთისმოსავთა ამდენი ლოცვით –  
გაღურჯებულა ქართლის ცის თაღი.

1989



\* \* \*

არ ჩანხარ...

სანაპიროზე,

ზევითა ჩოჩქოლი ისმის,

ზღვას კი ქარები ათრობენ...

მე გუფს მიკოდავს მნათობი,

შორით ნასროლი ისრით.

1981



## ღამე იცინის

თვალს ჩუმად, როცა ჩაუკრავს ელვა.

ცა სიხარულით გადიხარხარებს,  
ახედავს შიშით და გაკვირვებით

ტოტი ძახველის და გლიცინიის.  
უელავს ღამეს –

ვარსკვლავების ოქროს კბილები,  
სხივებად მოდის ჩემთან სიცილი.

1966



\* \* \*

უნდო ღამისთვის რომ ყოფილიყო  
ჩემი ქართული სიტყვა –  
კერკეტი,  
სტრიქონთა შორის, ქართლის  
ველ-მინდვრებს,  
სემირამიდის ბაღად ვკიდებდი.  
ჩემი ცხოვრების მთელი მანძილი,  
ამ ციცქნა ლექსებს ჩავკირკიტებდი...

1992





**ამინდის უეტარი შეცვალა ზღვაზე**

ცამ ელვის ჩახმახს გამოკრა ხელი,

გაუარდა მესი...

წვიმას აპირებს.

თუმცა მწუხრისას მნათობები სიშორეს

წვიმდა.

უვარდება და,

ტალღას ნაპირი,

ისწორებს როგორც

ჩაჩაჩულ წინდას.

1961



## ჩემს წიგნში ნახავთ

მხოლოდ და მხოლოდ ჩეს წიგნში ნახავთ,  
გჯეროდეთ,  
ველარ იპოვით სხვასთან –  
ამდენ სიხარულს... ამდენ სევდას...  
სვეტებს და თაღებს...  
მთებს და მწვერვალებს...  
ციხე-კოშკებს...  
დაჭმუჭნილ ზღვას და  
მეფე ერეკლეს სიგელივით –  
დაგრაბნილ ტაღლებს.

1968



15 მაისი, 1992 წელი

ძმას ვგლოვობ...

ცრემლი უნდა მდიოდეს...  
და მაინც უზის ტაბლას კაცი სულ ათიოდე  
და სვამენ ღვინოს...

მიირთმევენ ჩაის, მურაბას...

გარეშე ზურნის და დაფლაფების,  
ჩემმა დაჩიმ და ჩემმა ზურაბმა  
გადამიხადეს დღე დაბადების.

1992



## ლოდი არაბგზე

მთა ულაყივით დაჰყურებს თავზე,  
ჭიხვინებს თოვლს და...  
ზაფხული მოდის,  
შეყვარებული, ნესტანის მსგავსი.  
ტარიელივით ჩამომჯდარა წყლის პირას  
ლოდი  
და ვეფხისტყავად აცვია ხავსი.

1966



## ანდერკისმაგვარი

გვიან თუ ადრე,  
ვიცი, მოვხვდები,  
ყოფნა-არყოფნის ორპირქარში,  
გულგამჭვალავში,  
და როცა ვიგრძნობ მის გრიგალობას,  
ბინა დამიდეთ ხობის პირას,  
პარას ჭვალაში,  
სულ რომ ვისმენდე ლერწმის გალობას.

1991



ო, უხილავო

მას ძალა შესწევს ქადილის და...

ფიანდაზებად

საუკუნეებს ფერხქვეშ დაიგებს.

სიტყვის ქამანდით

წუთისოფლის ქროლვას დაიჭერს.

კიდევ ცოტახანს თუ დააცლის არსთა

გამრიგე,

ო, უხილავო,

მიადგება ის შენს კარიბჭეს.

1956



## ზვირთების ჯოგი

ზღვაში მნათობთა მოჩანს მეჩეხი...  
მუდამ ქარიშხლის  
გზებით მავალი,  
აწყდება ღამის ხიდსა და ბოვირს  
და ქედგადრეკილ კამეჩებივით  
მიიზღაზნება ნაპირისკენ – ზვირთების  
ჯოგი.

1982



## ისევ ირწევა

სადღაც,

არყოფნის ნაგსაყუდელთან

ისევ ირწევა ნავი

ქარონის

და რიგს მოკვდავნი ისევ ელიან...

ელვით დაჭკელილ

ქარის თქარუნით,

ისევ აწყდება ნაპირს ზვირთთა

კავალერია...

1978





## ღვთიური ჰიმნი

გამთენიისას,

ცის ვეება საცრით გაცრილი  
ნისლი

მთასა და ზღვას ეფინება.

ღრუბლებში ელვის გაკრთება სიმი.

და მე მომესმის ფრთათა რხევა

სერაფიმების

და მნათობების –

ღვთიური ჰიმნი.

1964



\* \* \*

წინ გველობება ღამის ზეგანი,  
სიბნელის მიღმა  
მთვარის ხევიან.  
არყოფნა ზღვაა უკიდევანო  
და ჩვენი ყოფნის მდინარეები  
ზამთარ და ზაფხულ  
შიგ ირხევიან...

1980



\* \* \*

გალუმპულია ხე –  
კვირტების მწვანე წვეთებით,  
გულწითელები ბუდესათვის  
ბალახს არჩევენ  
და უპოვრებს გული უტირით...  
ეზოს კუთხეში,  
ღობის ძირას  
თოვლის ნარჩენი,  
შეშინებული მიყუნცულა კატის კნუტივით.

1961



\* \* \*

ბობოქრობს სიძულვილის ზღვა,  
გულები დარდით წალეკილი  
ღვთის უგულობას გოდებს.  
ჩემი სიყვარული კი ლეკვივით  
წკმუტუნით,  
უკან კვლავ მოგდევს...

1968



## ორი ტალღა

თუმც გვიან...

მაინც სიძულვილის ყინული გაღხვა...

გადმოხრილა და მთას

ზღვის მხარზე

უღევს ნიკაპი.

ჩვენი სიყვარულია ის ორი ტალღა,

სხვა და სხვა მხრიდან

ნაპირისკენ რომ მოისწრაფვის.

1976



✠

\* \* \*

ღულს და ღულს კუპრი დედამიწის ვეება  
ქვაბში

და ჩვენ მოკვდავნი,

კვლავ ვიტანჯებით.

არავინ არის,

გამჩენს სწორი სიტყვა შებედოს.

ღმერთი კი არა, ცეცხლის კლანჭება,

ცაში მზე ყივის...

ცაში მზე ბუდობს.

1949



## უფალო შეგვიწყალე

მუდამ მოგველიან ჩვენ ჩვენი მკვდრები,  
ლოდინით დაღლილი იმათი სულები  
სხედან მოწყენილნი ლოდებზე საფლავის.  
ჩვენი აქ ყოფნის დღის დასასრულთან –  
„უფალო შეგვიწყალე!“

გგონია აღსრულდა –

ლოცვა და ვედრება...

და როცა ვკვდებით,

ცაში კი არა, მიწაში ჩავდივართ...

ღმერთთან კი არა, მივდივართ

ავსულთან.

1990



\* \* \*

შავი ღრუბელი შავი ხელებით,  
ელვით გაბზარულ ცას  
კვლავ ამთელებს,  
რომ მნათობები ნათელს უკმიდეს.  
აქ კი ხშირ-ხშირად ბნელს, კვესს გაკრავს  
ციცინათელა  
და ღამის აბედს  
ცეცხლს ვერა და ველარ უკიდებს.

1987





## ტარო ილიმის

დოინჯ შემოყრილ სიმინდიდან ტარო ილიმის  
თეთრი მარცვლების  
თეთრი კბილებით...

და ასი კაბა აცვია და ველარ ეტევა.

კუჭი უხმებათ ოხოფეხზე შემდგარ ნალიებს.

შემოხვევია სარს ლობიოს –

მწვანე ჭყვინტები,

თითქოს ბოსტანი ავსებულა კალიებით.

1984



## როგორც ოლოლი

არყოფნა აღარ გვიხმობს,  
როგორც ოლოლი ოლოლს,  
მინც ყოფნაზე ფიქრით გვეხდება თავის ქალა.  
მიღუთის გზაზე დავალთ...  
და ხეტიალის ბოლოს.  
კარს მივადგებით სიკვდილს –  
ჩვენს მარადიულ ქალაქს.

1990



\* \* \*

არც თავი უჩანს და აღარც ბოლო  
დაღალულ დღეებს  
და ღამის თევებს,  
წუთებს და წამებს აღვიქვამ ვით ქვასა და  
როდინს.

მე პოეზიის თავსხმაში შეველ  
და ღმერთმა უწყის,  
გამოვალ როდის.

1962



\* \* \*

ვარდივით ჰყვავი და იფურჩქნები  
და სიყვარული გესიზმრება,  
როგორც დრიადებს.  
ღამის კაბაში, შენ ანთიხარ, როგორც  
კოცონი,  
თვალს გვჭრის სინათლე,  
სიღამაზე და სიღიადე.

1968



## სხვა არაფერი მინდა

მე მხოლოდ ერთით ვცხოვრობ,  
ამქვეყნად მხოლოდ ეს მწამს –  
უფლის წყალობით მოვჭრი –  
ჩემს ტანწერწეტა ლერწამს.  
რომ ხმა მესმოდეს მისი მარადუკედავი  
ფესვის...  
სხვა არაფერი მინდა,  
სხვა არაფერი მესმის.

1959



\* \* \*

წვიმა იგალობეს ზღვისკარად ღრუბლებმა  
და შავი ჩინახეები  
დაცაღეს.

მწუხრმა შეაყარა ცას ოქროს ნახერხი.  
ტალღა ნაპირისკენ მოიწევს ბანცალით,  
ფეხის ადგმა სურს...  
და ვეღარ ახერხებს

1961



\* \* \*

რომ გაჰყოლოდნენ მარადისობის „ექსპრესს“,  
წუთით არ დააგვიანდათ:

მიუსეს,

ნერვალს,

და ელუარის,

მე კი, ხმალივით მჭრელს და ელვარეს,

ჩემს ქართულ სიტყვას –

ვფერავ ნიადაგ.

1991



\* \* \*

როდესაც ტალღა აფრინდება, როგორც  
არწივი

და მიასკდება ლოდს –

თავგანწირვით,

ზღვა ამღვრეული იმ ლოდს მკაფიოდ

მიაწერს ქაფით ეპიტაფიას.

1967





\* \* \*

რომ არ ჩაუქრეს ცეცხლი ციური  
და რომ დემონი არ მოერიოს,  
მიწა  
თავს მაღალ ღმერთს შეავედრებს...  
მერე, ღრუბლების ნაცარს მოჩხრეკს ცივი  
ბორიო  
და შეუბერავს სულს მნათობთა –  
მიმქრალ ნაღვერდლებს.

1965



## მას გული არა აქვს

ნიადაგ წითელი კვერცხები უგორო,  
ბოლომდე,  
მაინც არ დაგინდობს,  
უმღერე,  
თუნდ „იაენანური“,  
მას გული არა აქვს,  
სიკვდილმა არ იცის  
შეცოდება და სინანული.

1985



## პირველი მსხვერპლი

მოვრალი სიცოცხლით და სილამაზით  
და გაზაფხულის მარად  
მოსურნე –  
მაღლა მიიწევს ფარფატი პეპლის,  
როგორც ღვთის შექმნილ ქვეყნის ნახვად  
ერთი დღით მოსული,  
როგორც ღვთისადმი შეწირული პირველი  
მსხვერპლი.

1958



## მთვარის პეგასი

ფლოქემოჭედილი –

ვარსკვლავების

ოქროს ნალებით,

გარბის დასავლით მთვარის პეგასი..

და დილა, მაღალ ღვთის ნაკურთხები,

თენდება...

და მზის ძაღლის ყეფაზე,

სადღაც გარბიან ყურდაცქვეტილ ჩრდილთა –

კურდღლები.

1958



**ცა და ზღვა**

ცა, კვლავ უზენო ბავშვივით ტირის,  
თუმც მიწას, ელვის არტახებით  
შემოჭერილი  
ღრუბლების ჩვრებში შეხვეული აკვანში  
უწევს  
და ქარიც „ნანას“ უძღერს... და ურწევს...  
ზღვა კი ღომივით ტორებს სცემს  
ნაპირს  
და იღრინება კბილებით ქაფის.

1966



\* \* \*


დგას ზღვისკარად და თქმულებებს  
აშრიანებს

ჩემი კოლხეთი –

ფორთოხლის ხე –

მსხმოიარე...

1958



\* \* \*

უფლის განგებით ჩვენთვის ბოძებულ,  
როგორც სიცოცხლეს,  
ისე სიკვდილსაც,  
დავიწყებისკენ ჩუმად მიათრევს...  
(წუხს წუთიერი ბედნიერება.)  
დღესა და ღამეს –  
ამ გოლიათებს,  
დედამიწაზე ვერვინ ერევა.

1991



\* \* \*

ნაკადულების სიცილ-კისკისში,  
მინდვრები ჭილის ყაისნალებით,  
პატარ-პატარა ჩრდილს მომიქსოვენ,  
ან ვარდთა გვირგვინს კვლავ დამიწნავენ,  
თუ კბილს არ მოგჭრის ეს საწუთრო, –  
ეს ძაღლყურძენა,  
ტყის კარეტაზე ამხედრებულ ამდენ  
სიმწვანეს  
და გაზაფხულის შემოტევას თუ გაუუძელი.

2020





## ზიქრი და აზრი

ჭიანჭველების ბუდეა თავი,

ფიქრები –

რემა ჭიანჭველების,

დაფუსფუსებენ, არ გვაძლევენ წუთებს  
უზრუნველს.

აზრი კი –

დედაჭიანჭველა, – აღარ ისვენებს,

ძილშიც და ცხადშიც,

სულ რაღაცაზე წუხს და ბუზღუნებს...

1974



\* \* \*

ყოველ გაზაფხულზე ჰყვავიან ბაღები  
და ლოცვად დგებიან ვერხვები,  
თავისი ფულურო – ნიშებით.

კვირტებიც პირს ჩუმად აღებენ,  
რადაცას გვანიშნებენ...

მაგრამ ჩვენ ვერ ვხვდებით.

1965



ო, როგორ სცივა

ნაკადულების

თეთრი კვიციები,

ყინვას კვლავ დარჩა გასაბაწრავი.

ცა,

ვარსკვლავების კბილს კბილებზე აცემინებს...


ო, როგორ სცივა.

ტყეები ქარში პირს იკაწრავენ,

ხეებს –

ფოთლების ცრემლები ცვივა.

1967



\* \* \*

მეჩეხი არა,

ზღვად დაღუპულთა ჩონჩხებია  
იქ დახინჯული,  
ვით დღე და ღამე, იქ გაყრილა სული და  
ხორცი.

ის ტალღა არა,

არის მიჯნური,

ნაპირს –

გულისსწორს – კოცნის.

1967



## ყველაფერი დარჩა უცვლელი

მოგონებები, დედა,

ტკივილს კვლავ მიშუშებენ,  
ისევ მიყვარხარ...

ყველაფერი დარჩა

უცვლელი...

ავად ვარ ახლა,

და სხვადასხვა წამლის შუშები,

გვერდზე მიკრული თეთრი ფურცლებით  
სხედან ცალფრთიან ფრინველებივით.

სხვა არაფერი, დედაჩემო!

ყველაფერი დარჩა უცვლელი...

1990



\* \* \*

თეთრით მოსილი, როგორც გრანელი,  
ვზივარ მწუხარე ღოდზე საფლავის  
და, ვით ტოროლა ველი იალონს,  
რადგან ქარივით მიუსაფარი,  
მე,

შენს უძილო ღამეებში  
დავხეტილობ...


1966



\* \* \*

მიმწუხრის პირზე ჩამოქროლილი,  
ფართოდ გაშლილი ფრთებით –  
წუხილის  
მზე, –  
მთათა მიღმა მიფრენს ქორივით,  
მიაქვს სინათლე და სხივებად ცვივა წიგწივი,  
უკან სიბნელე მისდევს  
კრუხივით.

1964



## ფიქრით დაღლილები

მე და შენ ერთმანეთს დავეძებთ თვალებით,  
ყელმოდერებულნი,  
ვითარ გედები.  
თუმცა სიყვარულის მხრებს გვაწვევს სიმძიმე.  
ფიქრით დაღლილები,  
მწუსრზე მივეგდებით  
და ერთმანეთის თვალებში ვიძინებთ...

1989





**არ ვიცი, რატომ**

ჩვენთვის ძვირფასო,

ერთად ყოფნა არის სამოთხე,  
სად სიყვარულის ჰყვავის ვარდები.  
ღამეები კი გვიჩანს მღვიმეზად.

და საუბარი სიკვდილზე რომ  
ჩამოვარდება,

არ ვიცი, რატომ,  
მე მელიმება...

1960



**მიხდება კოლხური ჰავა**

ჰერ კიდევ თავს იხრჩობს ენგური  
ზღვაში და...  
მუნჩია მუნჩიობს...

მიხდება კოლხური ჰავა.

და ახლა,

უშნო და უჩინო,

შავი ზღვის ნაპირზე ვდგავარ.

1992



## ოჯალუში

გიდელებით ჰკიდია ტოტებზე  
შავ-შავი მტევნები –  
თხმელის ხის ხიზნები, –  
შავ მარცვლებს თვალებად ანთებენ.  
და... „ოჯალუშით“  
თუკი ჩვენ დავთვრებით,  
დევის სისხლია და ...  
ერთ კვირას ვერ გამოვფიზლდებით.

1965



\* \* \*

სავსე ათასი ფერით და ჰანგით,  
შენ რომ უბოძე,

ცა იყო ჩანგი

და ცისარტყელის ება ღარები

და ვით შეეძლო ცისიერო –

შენ გიგალობა.

ახლა კი ყვედრი... მუხლმოდრეკით გემუდარები,  
ჯერ ნუ წაართმევ, შენ ნაბოძებ ნიჭს და...  
წყალობას.

1989



\* \* \*

თოვს და... კვამლივით ცისკენ მიიწევს,  
მგლების ყმული და  
გააფთრება,  
რომ შეახეროს, ცხელი ტყვია ვეღარ ეწევა.  
ძაღლის ყეფაზე,  
ნადირივით,  
მთვარე დაფრთხება  
და ღამის მიღმა გადაიხვეწება...

1962



\* \* \*

ციცქნა ტალღები, ვით ფერიები,  
ჭყუმპალაობდნენ ღამაზ ნაპირთან,  
იქვე გუბეში მთვარე ეგდო, ვით ცხენის  
ნალი,

(გარდასულ ჟამთა აჩნდა შრეები.)  
ვესროლე კენჭი და შეერთა წყალი  
და გაფანტა შიში –  
წრეებად.

1976



**ვეჯიწი**

ეოს კუთხეში თავეყერიღმა ცელქმა  
ფოთლებმა,  
ქართან იმრუშეს და  
იღლაბუცეს,  
მერე აფრინდნენ,  
დააბნელეს დილა ვეჯინის,  
თითქოსდა ყანა ზღვა გახდა უცებ  
და ზღვის ტალღებად იქცა  
ჯეჯილი.

1986



\* \* \*

მზე ყივის...

და მაინც ბინდია,

ბილიკზე ბიჭუნა მათრახით –

მისხეპავს დილის ნისლს –

უნდილს.

ქართული ხანჯალი ჰკიდია,

ახურავს სვანური ქუდი.

1966





**მკვდრები ლაპარაკობენ და**

მნათობები დილამდე რაღაცას ჩურჩულებენ,  
სინათლედ მოდის –  
მათი თქმული და უთქმელობა.  
ჩვენ ვხედებით გუმანს, ცა მიტომ ბრაზობს.  
მკვდრები ლაპარაკობენ და...  
მკვდრები ღუმან,  
მკვდართა ღუმელია – ხასაფლაო.

1961



\* \* \*

მზის აღერსსა და სიმხურვალეს  
ვარ მიწოლილი,  
ფეხებზე დაღლის მაცვია წაღა.  
ქარის აღმა ხნულს,  
ზღვა დაბლა ფარცხავს.  
ოქროს ვერძივით მოაბღაგლა ნაპირთან  
ტალღამ  
და დამირღვია სიმშვიდის ფაცხა.

1959



\* \* \*

წყალსა და სისხლს სწოვენ  
ზღვას შავი ღრუბლები,  
ეს დაუნდობელი ჯოგები –  
ვამპირთა,  
ასაოხრებლად ცას მოსდებია.  
კვლავ ფაციფუცობენ ტაღლები ნაპირთან,  
აღბათ,  
ქარიშხალს ელოცებიან...

1967



## ჯარისკაცები

გამოსავალი ორიდან  
ერთია,  
ან უნდა გადარჩე,  
ან უნდა დაეცე,  
ომის კანონი არის მკაცრი.  
ყველა და ყოველი რაღაცას დაეძებს,  
მხოლოდ დაკარგულ ფეხს –  
არ ეძებს ჯარისკაცი,  
?!..

1981



## რომ ცხოვრებამ არ შეგვაშინოს

არსთა გამრიგე,

ჩვენს ისედაც მოკლე გზა-შარას,

ზომავს არსენას დიდი არშინით,

სიცოცხლე მარტო ამისთვის ღირდა,

და... რომ ცხოვრებამ არ შეგვაშინოს,

ჩვენ,

მუდამ გვერდით –

სიკვდილი გვიდგას.

1991



**აბვისტო, ყანა, მზე**

ტარო ქარქაშში ყამასავით აქვს ჩაგებული  
და ჩაუბამს სიმინდს  
ფერხული...

იღიმის მარცვალ მოოქროვილი,  
ყანის გულზე კი დამდგარ მანჩხავას,  
მზე დასტრიალებს თავზე –  
ქორივით  
და სიშორეს და სიცხეს დაჩხავის.

1980



## მიყვარს

თვალებში უეცრად ბრაზი რომ იქუხებს  
და წყენის წვეთები  
დანამავს წამწამებს,  
მაშინ სინანული მაგზნებს და მაქეხებს.  
და... ელვასავით გამკრთალი  
ღიმილი  
მიყვარს შენს ბაგეზე...

1962



## ეს ყველაფერი

დღისა და ღამის ფრთებით ვიფრინე,  
დავლახე მთები...  
და გავშალე ზღვებზე –  
აფრები..

მზემ სივრცეები გადამისარკა.

(ვიცი მცირეა)

მაგრამ მაინც ეს ყველაფერი,  
ო, ყველაფერი, მე შევქმენი არაფისაგან.

1992





\* \* \*

ზღვის გულდამწვარი ჭირისუფლები –  
ალბატროსები

და თოლიები

სივრცეს კაწრავენ წივილ-კივილით.

მკერდზე მჯიდსს იცემს ზღვა

აქოხრილი.

ჭარს ტალღა მოაქვს ხელი გულზე

დასვენებული,

ვით შაჰის ფაიქს,

პაატას თავი –

მოჭრილი.

1961



\* \* \*

ოქროს ცრემლებით –  
ვარსკვლავებით –  
ცა ღამიტირებს  
და ჩუმაღ მეტყვის თან „სულთათანას“...  
რადგანაც სული, მას მე მივანდე, –  
რადგან სიცოცხლის გაგრძელება  
არის სიკვდილი,  
და დღის სინათლის –  
ღამის წყვდიადი...

1982



## ცაო ქართულო

ცაო ქართულო!

ქართველს ძალა შეგვწევს ქაღილის:

ბუღა თურქის და შაჰის –

თამაზი

მოდგმა,

აწ სამტროდ, ვერ გადმოვა შენს შვიდ

კარიბჭეს,

რადგან სიცოცხლე და სილამაზე

და უკვდავება შენ მოგვანიჭე.

1990



## ნაოსვამუ<sup>1</sup>

სიჩუმეს ფეხი სადმე არ წაკრან,  
როს მიმოდინ სულები მათი.  
მწუხრს ენატრება ლოცვების  
ხემსი.

ზარს აქ  
არასდროს არისხებდ მნათე,  
მაგრამ ზარის ხმა ყოველთვის მესმის...

1959

---

<sup>1</sup>ნაოსვამუ – ნაეკლესარი (მეგრ.).



## მზე პირს იბანს

მოვა აპრილი...

ცა – გაზაფხულის,  
მზრებზე გადიურის ცისარტყელას –  
ფერად ნაწნავებს.  
ავლენ დღეები ხეებზე და ფოთლებს  
ამწვანებენ...

სიცილის ჩქერით

მზე პირს იბანს და...  
წვიმას უსველდება წამწამები.

1966



## ფოთოლთა ქორო

მოსუცი მამა,

მინდორს, ვით რვეულს,

კავით – გრძელ კალმით –

უღმერთოდ ჯღაბნის...

ჭიაღუებად ასხია ნახნავს

აურაცხელი ყვავი და ქორი.

იქვე კი ტყუა...

ღირიჟორი ნიავი გახლვათ,

სიმწვანეს გალობს ფოთოლთა ქორო...

1961



## ეკლესიაში

მოწყალედ მზირალს,  
თავნაქნეულს ძეზე  
ადამის,  
ჯვარცმულ მაცხოვარს სანთელს ვუკმევდი.  
იდგა სიხუმე და გაოცება.  
...თეთრ ტაძარს ჰგავდა  
შენი გულ-მკერდი  
და სავსე იყო მზერით „მლოცველთა“.

1975



\* \* \*

ციდან გადმომდგარი,

თეთრწვერვაბარდნილი,

ა, ის ღრუბელი, როგორ ჰგავს მოსეს,

მე კი, უდაბნოში მავალ იმ ებრაელს,

რომელიც მიელტვის

ა, იმ კიდეს...

ღმერთსაც და კაცსაც აღარ შეეებრაღე,

რწმენის –

აქლემის ტვირთი ავიკიდე.

1990





**წვეთავს მირონი**

დილას მზე მოჰყავს ატატებული,  
ვით ყრმა იესო  
ქალწულ მარიამს.  
და ვით ნათელი მომავალ დღეთა,  
ქართული ციდან მირონი წვეთავს,  
წვეთავს იმედიც და მიხარია...

1976



## მარადი ძილით დაქანცულები

ზაფხულში,

მწვანე ბალახის ღერით,

მუდამ რაღაცას მიგვანიშნებენ,

მარადი ძილი დაქანცულები,

ადრე წასული ჭაბუკები

და ქალწულები,

რომელთაც უდევთ თავსასთუმლად –

ქვის ბალიშები.

1979



## ღრო და სივრცე

დანამდვილებით მე ვიცი ერთი  
და მჯერა მტკიცედ,  
რომ ქვეყნად ჩემი მფარველი ღმერთი  
ღროა და სივრცე...  
სხვა არაფერი.

1992



\* \* \*

ჩამავალი მზის ოქროს მძივებით,  
დედოფალივით ისევ ირთვება –  
ზღვისფერ ღრუბლებში –  
ცა გაფოთლილი.  
და მოვარდნილი ფიქრთა ზვირთები  
მიმატივტივებს სადღაც...  
ბოთლივით...

1967



## მოლოდინი არის მარულის

აჰა,

მესამე ათასწლეულის

მისადგომებთან მესმის გრიალი,  
ლაგამებს ხრავენ პოეტების თეთრი რაშები  
და მოლოდინი არის მარულის.

მე კი ზღვის კარად, –

„კიბორჩხალას ვეთამაშები“,  
უპოვარი და ხელმოცარული.

1992



## ნატვრა

საღამოსა და დილას,  
მაგ ამობურცულ მკერდის –  
თეთრ და პაწია ღილაკს –  
შემახებინა თითი –  
ძახილის ნიშნის დარი.  
დამარეკინა შენი ვნების პირველი ზარი...

1956



**და ნუ შეგაკრთობს მოხუცს სიბერე**

შუაკერასთან, როგორც მოზვერი,  
ცეცხლი კვლავ წევს და  
შემას იცოხნის...

და დააყარე ხიჭვი, ხეიბერი...

ზამთარია და ცივა ბერდედავ!  
და ნუ შეგაკრთობს მოხუცს სიბერე,  
კაცი კი არა.

ღმერთიც ბერდება!

1966



\* \* \*

ღრუბლები, როგორც მალემსობლები,  
მიიჩქარიან სადღაც დასავლით  
და მიჰყავთ მძევლად მთვარე –  
მხევალი,  
გრიგალმა ტალღა კლდეს მიახეთქა  
და დაუმსვრია მას ხერხემალი.





## ჩამოეშვა შავი ფარდა

მტრობა,

რასაც თესდა,

მერე, ბოლოს მასვე მკიდა.

შუაქართველთა, –

(ტომით მკვიდრთა).

ჩამოეშვა მტრობის ფარდა.

ძმა ძმას ცეცხლად წაეკიდა

და თბილისი „გარდაქარდა...“

1991



## მიტომ უნდა აიტანოთ

უფლის ნებით შემწევს ძალა,

სიბრძნის ქვაზე –

აზრის ღესვის...

და თუნდ იყოს კლდე პიტალო,


რწმენის ხნულში –

სიტყვის თესვის...

მიტომ უნდა აიტანოთ

ქედმაღლობა ჩემი ღექსის

1992



\* \* \*

გარინდებული ყურს უგდებს მიწა,  
წყალში ჩავარდნილ –  
მნათობთა შიშინს...

ნაპირთან იხდის თეთრ სამოსელს ალუჩის  
ბუში.

ქარს თმებს უბურძგლავს –  
სიავის შიში,  
ზღვას სიბრაზისგან პირს ადგას ღუჟი.

1965



## ბაშლილი წიგნი

ვის დაუვარდა არავინ იცის,  
ათასი ვინმე მოგროვდა ირგვლივ  
და უმზერს რუსი,  
ფრანგი,  
ფინელი.  
თავდაღმა გდია ქუჩაში წიგნი,  
ვით ფრთაშლილი მკვდარი ფრინველი.

მოსკოვი

1981



## უიმელობა

მოსვალ?! –

არ იძვრის სიო იმედის,

არ ირხევინ მწუხრის ფოთლები.

(თუმც ქარიშხალი ზვირთებს მოდენის...)

ჩიტვით ვზივარ ტოტზე მოთმენის,

მალე გაწყდება ძაფი

ლოდინის...

1959



## აქილევსი

ათასწლეულთა მიღმიდან,  
კვლავ რომ მოგვესმის,  
უკვდავების არის ძახილი:

– აქილევსი!..

ფართო – ქუსლამდე, –  
მცირე სოფელში ვისაც დარჩა გმირის  
სახელი,  
ვიდრე იმ დიდში გაქუსლავდა...

1971



## ზიქრები

დავტოვებ მიწას და პოეზიას  
და ავმადლდები, როგორც მესია...  
გავყვები მნათთა უცხო დინებას...  
მერე ღრუბლები როცა დამფლავენ,  
ამ ქვეყნად,  
შენ ერთს გეცოდინება,  
რომ მთვარე არის ჩემი საფლავი  
და... შურით გასკდნენ დედამიწაზე...

1992



## ხმა მეციხოვნის

საუკუნიდან –  
    საუკუნემდე  
    ძახილი საღვაც გადაიხიდა,  
    მაგრამ სხივივით მაინც გიპოვნის,  
ათასწლეულთა –  
    ისმის იქიდან,  
ის ყივილია დიდი მგოსნის და ...  
                            მეციხოვნის.

1961





**ჩემი მესხეთ-ჯავახეთი**

მაღალ კლდეზე ციხე თმოგვის –  
(მესხეთ-ჯავახეთის ძალა)  
დავითით დგას ლომდარი.  
და მზეც  
ოქროს იშლის დაღალს,  
თამარივით  
ვარძიდან გადმომდგარი.

1967



## წარსულის გახსენება

ქუჩის ბოლოში ვდგავარ, ვუცქერი  
და მიფუჭდება მგოსანს გუნება:  
(თუმცა გახსენება წარსულის არ მსურს)  
ქარი აღვას კვლავ ებღღარძუნება,  
ისე,  
ვით ქოსა საჭურისი,  
ტყვე ქართველ ასულს.

1967



## სიცხე მკათათვის

მიწას კორცნიდა სიცხე მკათათვის  
და მზეც

ეკიდა ისე, ვითა სარს პომიდორი.

ბაღჩა-ბაღებში ხახამშრალი იდგა

წყურვილი.

და იქვე ახლოს ჩანდა მინდორი –

ფშაველას დამსკდარ ხელისგულივით.

1964



## ეს მთები მიწის კუბუბია

ქარებს მწყემსივით იალაღებზე  
ღუბლების ფარა უძოვებიათ...  
ეს მთები –  
მიწის ძუძუებია,  
რომელთაც მზე და მდინარეები  
წოვენ და წოვენ...  
როგორც ბაღლები.


1961



## ფეხისწვერზე დგება ალი

ებჯინება სანთლებს მხრებზე,  
ფეხისწვერზე დგება ალი,  
უფალი რომ დაინახოს,  
და თუ ძმა ხარ, მითხარ ერთი.  
რაღა ვუთხრა იმ კაცუნებს,  
ლოცვით დადლილთ მამა ღმერთი  
ელვის შოლტს რომ უტკაცუნებს...

1968



## ჩემი სიტყვა

თაგზე ნამუსის ქუდი ახურავს,  
მამა-პაპათა აცვია ხამლი,  
და ჩემი სიტყვა ამაყია  
და თაემომწონე,  
როგორც ცისკრისას ყივილი მამლის,  
ციხის გოდოლზე დანთებული  
როგორც კოცონი.

1992



\* \* \*

აღარ ჩერდება...

შეუსვენებლივ

მიჰქრის... მიმაფრენს უამი უბელო

და ხუთჯერ ათი წელიწადი

მეც შემისრულდა.

და, ვით წვიმის წვეთს შავი დრუბელი,

ვიცი სიკვდილი ჩუმათ დამღევს და...

შემისრუტავს...

1991



\* \* \*

უელურჯესი ქართული მთების  
შემოვლელი ჰქონდა არშია  
ცას...  
და მზის კეპი თავზე ესურა  
და ... შლიდა მთვარის თეთრ ნაფეხურეს...

1967





**სარჩევი**

წინასიტყვაობის მაგიერ.....5

\*\*\* (მზეს უნდა გავკვე...).....25

იღორი.....26

\*\*\* (ზღვის ქარიშხალი).....27

უკვდავსაყოფად.....28

\*\*\* (ისევ შენი ხმა).....29

სარკოფაგები.....30

ბუხარი .....31

\*\*\* (ტოტებზე ისხდნენ).....32

\*\*\* (მეძახის შენი ცა...).....33

პატარა ბავშვი.....34

\*\*\* (ჩორთით).....35

რწმენა.....36

ჭიამაია .....37

\*\*\* (მოხუცი მთები).....38

გზის დასასრული.....39

\*\*\* (ჩემთვის ქვეყანა ჩამოლუსკუმა)....40

ზღვის ყურე.....41

ერთი ნაბიჯი.....42

\*\*\* (ზაფხულ და ზამთარ აქ  
ყვავილობს...).....43

*** (ქარის აკვანში).....	44
ფაცხა მეგრული.....	45
იობი.....	46
*** (ოკეანისკენ მიიქცევა).....	47
*** (დედამიწაზე დაუტევარი).....	48
*** (რბევად მოვარდა...).....	49
*** (მტკვრის ღამაზ სარკეს...).....	50
თუ არა იგი.....	51
მიწის ტკივილი.....	52
*** (შეჰკედლებია...).....	53
არავინ, არსად.....	54
*** (ცეცხლის თვალება მზე).....	55
*** (ზღვა, ვითარც ფარა...).....	56
*** (ზღვა უცებ ქარის ფოთლებს).....	57
გზაჯვარედინი.....	58
მომენატრება.....	59
*** (სიმყუდროვეში).....	60
ახლაც, ო, ახლაც.....	61
ჩემი ოცნება.....	62
ნათურები.....	63
მორჩილება.....	64
*** (ცაზე ეკილა ჩვენი გემბანი).....	65
*** (ეფარებოდნენ ხავსიან ლოდებს...).....	66

*** (ისევ ინახავს მოგონებებს...)	67
*** (ღამე ღრუბლებში...)	68
*** (ადგა გრიგალი...)	69
*** (გადაუფრინეთ პირინის და კასტილიას).....	70
იულიუს ფუჩიკი.....	71
ზამთრის ღამე.....	72
ევქსინის პონტო.....	73
მშობელი მიწა.....	74
*** (ელვით დასერილ...)	75
*** (შენ არ ხარ ჩემთან...)	76
*** (ციდან მოფრენილ...)	77
*** (მზე მიიდრიკა...)	78
*** (გამოვეთხოვე...)	79
*** (აჰა, აპრილი...)	80
მატარებელი – „თბილისი-ფოთი“ .....	81
*** (მღელვარ ზღვასთან).....	82
*** (როცა კანდამსკლარ ბროწეულივით).....	83
ჭრიჭინები .....	84
*** (ღამის გუმბათზე...)	85
*** (გვიან...)	86
*** (ხსოვნის ნისლიან ლაბირინთებში) 87	

*** (ზღვები მაღალ მთებს...).....	88
მთები.....	89
*** (ზიხარ მარტოკა...).....	90
*** (ადრე თუ გვიან...).....	91
გაზაფხულის წვიმა.....	92
*** (თვალეში ისევ ყუჩობს მოწყენა...) 93	
*** (დარდით გაფოთლილ სიხუმეში).....	94
*** (ღამეულ ბაღში).....	95
*** (ზღვისკარად კანალებს სიცივე...).....	96
*** (ზესკნელის ფსკერი გაიბზარა).....	97
*** (ფიფქები თოვლის თეთრი თითებით).....	98
*** (იმედები, ვით განთიადები).....	99
ივლისი .....	100
*** (გამთენიისას შუა კერამ...).....	101
ვით მაფშალია .....	102
პირველ თოვლში .....	103
*** (იავარქმნილა).....	104
*** (ქართული ცისქვეშ...).....	105
*** (საჯიხვევებზე ელვა ჩამოდის...).....	106
თბილისის დილა.....	107
*** (ზღვა აკვანს ურწევს...).....	108
წერო .....	109

*** (შორს დარჩა).....	110
*** (ესე სიმღერა).....	111
ტყეში.....	112
ველი კრწანისის.....	113
*** (ტანჯვის გზაზე).....	114
*** (ზღვაში დამხრჩვალებს...).....	115
*** (ირაკლივით გადაჰყურებს კახეთს...).....	116
ბავშვობის მოგონება.....	117
VIII საუკუნე.....	118
მედვას ოხვრა.....	119
*** (მე უნდა მოგკედე...).....	120
ვარსკვლავიანი ღამე.....	121
ხერვისის ციხე.....	122
მზე და მზესუმზირა.....	123
მეწვის დღეები.....	124
*** (აღვის ტოტებზე...).....	125
*** (ზღვა ცოფებს ყრის და...).....	126
*** (ერთი ღრუბელი).....	127
*** (არყოფნა არის მარადიული...).....	128
*** (დღე-ღამის...).....	129
სამთავისი.....	130
ეგრისის ციხე.....	131
ალბატროსი.....	132

ზაფხულის ღამე.....	133
ორი გაკვეთილი.....	134
მეგრული „ნანა“.....	135
ჩემი ეზო.....	136
ის იყო ღმერთი.....	137
ვერ დაუძვრები.....	138
ელია.....	139
მე ვარსკვლავებში დავიდე ბინა.....	140
ეს არის უდაბნო.....	141
*** (როდესაც ნახეს...).....	142
*** (დღისა და ღამის...).....	143
ღამის ფანტომი.....	144
შავი ღრუბლები.....	145
*** (ფეხდაფეხ დაგდეგს...).....	146
ოქროს საწმისი.....	147
ხილვა.....	148
ამდენი ღოცვით.....	149
*** (არ ჩანხარ).....	150
ღამე იცინის.....	151
*** (უნდო ჟამისთვის რომ ყოფილიყო...).....	152
ამინდის შეცვლა ზღვაზე.....	153
ჩემს წიგნში ნახავთ.....	154

15 მაისი, 1992 წელი.....	155
ლოდი არაგვზე.....	156
ანდერძისმაგვარი .....	157
ო, უხილაო .....	158
ზვირთების ჯოგი.....	159
ისევ ირწევა.....	160
ღვთიური ჰიმნი.....	161
*** (წინ გვეღობება).....	162
*** (გალუმპულია ხე...).....	163
*** (ბობოქრობს...).....	164
ორი ტალღა .....	165
*** (ღუღს და ღუღს კუპრი...).....	166
უფალო შეგვიწყალე .....	167
*** (შავი ღრუბელი).....	168
ტარო იღიმის .....	169
როგორ ოლოლო.....	170
*** (არც თავი უჩანს და არც ბოლო...).....	171
*** (ვარდივით ჰყავავი...).....	172
სხვა არაფერი მინდა .....	173
*** (წვიმა იგალობეს).....	174
*** (რომ გაჰყოლოდნენ...).....	175
*** (როდესაც ტალღა აფრინდება...).....	176
*** (რომ არ ჩაუქრეს ცეცხლი ციური...).....	177

მას გული არა აქვს.....	178
პირველი მსხვერპლი.....	179
მთვარის პეგასი.....	180
ცა და ზღვა.....	181
*** (დგას ზღვისკარად და...).....	182
*** (უფლის განგებით...).....	183
*** (ნაკადულების სიცილ-კისკისში).....	184
ფიქრი და აზრი.....	185
*** (ყოველ გაზაფხულზე).....	186
ო, როგორ სცვივა.....	187
*** (მეჩეჩი არა...).....	188
ყველაფერი დარჩა უცვლელი.....	189
*** (თეთრით მოხილი...).....	190
*** (მიმწუხრის პირზე).....	191
ფიქრით დაღლილები.....	192
არ ვიცი რატომ.....	193
მიხდება კოლხური ჰავა.....	194
ოჯალეში.....	195
*** (სავსე ათასი ფერით და...).....	196
*** (თოვს ..).....	197
*** (ციცქნა ტალღები).....	198
ვეჯინში.....	199
*** (მზე ყივის...).....	200



მკედრები ლაპარაკობენ და.....	201
*** (მზის აღერსსა და ...)	202
*** (წყალსა და სისხლს სწოვენ...)	203
ჯარისკაცები.....	204
რომ ცხოვრებამ არ შეგვაშინოს.....	205
აგვისტო, ყანა, მზე.....	206
მიყავრს .....	207
ეს ყველაფერი.....	208
*** (ზღვის გულდამწვარი...)	209
*** (ოქროს ცრემლებით...)	210
ცაო ქართული.....	211
ნაოხვამუ.....	212
მზე პირს იბანს.....	213
ფოთოლთა ქორო.....	214
ეკლესიაში.....	215
*** (ციდან გადმომდგარი).....	216
წვეთავს მირონი.....	217
მარადი ძილით დაქანცულები.....	218
დრო და სივრცე.....	219
*** (ჩამავალი მზის).....	220
მოლოდინი არის მარულის.....	221
ნატვრა.....	222
და ნუ შეგაკრთობს მოხუცს ბიერე.....	223

*** (ღრუბლები, როგორც...)	224
ჩამოეშვა შავი ფარდა.....	225
მიტომ უნდა აიტანოთ.....	226
*** (გარინდებული ყურს უგდებს...)	227
გაშლილი წიგნი.....	228
უიმედობა.....	229
აქილევსი .....	230
ფიქრები.....	231
ხმა მეციხოვნის.....	232
ჩემი მესხეთ-ჯავახეთი .....	233
წარსულის გახსენება.....	234
სიცხე მკათათვის.....	235
ეს მთები მიწის ძუძუებია .....	236
ფეხის წვერზე დგება ალი.....	237
ჩემი სიტყვა.....	238
*** (ადარ ჩერდება...)	239
*** (უელურჯესი).....	240



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად  
ტომი 74

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHSALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 74

გამომცემლობის

რედაქტორი

– სოფო გიუტაშვილი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ვალენტინა დოლბაია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – კახა ალექსანდრია

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქუჩის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com